პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 204 (9672) | შაბათი, 29 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. — საინფორმაციო ცნობა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 27 აგვისტოს სხდომის შესახებ (1-ლი გვერდი).

ავამაღლოთ სარეწაო კოოპერაციის მუშაობის კულტურა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრის ამხანაგ **ა. ი. მიქოიანის** სიტყვიდან (მე-2 გვერდი).

დავძლიოთ ჩამორჩენა მეცხოველეობაში! — **მ. ხეთაგური.** — როცა არ ჩანს საქმის გულშემატკივარი (მე-2 გვერდი).

მოძმე რესპუბლიკებში (მე-2 გვერდი).

ფელეტონი. — **გ. შუბიძე.** — ...ანი (მე-3 გვერდი).

ლ. მარკოზოვი. — ლოვის მეს... სპექტაკლები (მე-3 გვერდი).

რედაქციის ფოსტიდან (მე-3 გვერდი).

გ. კასაბაშვილი. — რასობრივი დისკრიმინაცია სამხრეთ აფრიკის კავშირში (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გაღაჭრით გავაძლიეროთ ღეწვის ჯემპი

საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. მშრომელები ძალღონის დაუზოგავად იბრძვიან, რათა პრაქტიკულად განახორციელონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის საპროგრამო დავალებანი.

ახლა სოფლად ყველაზე დაძაბული დღეებია. მთავრდება მოსავლის აღება, თანდათანობით ჩაღდება საშემოდგომო თესვისათვის მზადება, წყდება მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ბედი. ტყუილად როდია ნათქვამი: ზაფხულის დღე წელიწადს ჰკვებავსო. ამიტომ ახლა შეუწყნარებელია რომელიმე დარგის სამუშაოს ჩამორჩენა. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მინდვრის ყველა სამუშაო შეეუხამოთ ერთმანეთს, აღვკვეთოთ მათი მორიგეობით შესრულების მავნე პრაქტიკა.

მინდვრის საზაფხულო სამუშაოთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსავლის აღებასა და ღეწვას.

რესპუბლიკის დაბალი ზონის რაიონებში მოსავლის აღება ძირითადად უკვე დამთავრდა. ახლა პურეულის აღება გაჩაღდა მაღალი ზონის რაიონებში, რომლებზეც მოდის ჯერ კიდევ მოსამკელი 83 ათასი ჰექტარი პურეულის დიდი ნაწილი. ბოგდანოვკის რაიონში მოსავლის აღების დავალება შესრულებულია მხოლოდ 5,6 პროცენტით, ახალქალაქის რაიონში — 29,1 პროცენტით, წალკის — 13, ბორჯომის — 28,6, მესტიის — 26,3, ქლუხორის — 51,7, დმანისის — 55, ონის — 56,8, ასპინძის რაიონში — 56,8 პროცენტით. ახალქალაქის რაიონში ჯერ კიდევ ასაღებია 15.850 ჰექტარი, ბოგდანოვკის — 16.000, წალკის რაიონში — 15.000 ჰექტარზე მეტი პურეული.

ჩამორჩენილ რაიონებში მოსავლის აღებას გაჭიანურებას პურის შემოუსვლელობით, უამინდობით და ზოგიერთი სხვა „ობიექტური მიზეზით“ ხსნიან. ფაქტები კი სხვას ლაპარაკობენ. მკაში ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ადგილებზე სრული დატვირთვით არ იყენებენ მძლავრ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და მუშა-ხელს, ნაკლებად იბრძვიან შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ზნაურის მტს-ი (დირექტორი ამხ. ს. მინდიაშვილი) ვერ ასრულებს მოსავლის კომბაინით აღების ყოველდღიურ დავალებას. ეს ხდება იმის შედეგად, რომ მექანიზატორთა შორის მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია დისციპლინა, აქ შემოღებული არ არის ორ ცვლად მუშაობა. ყოველივე ამის შესახებ კარგად იციან პარტიის ზნაურის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომში, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს დღემდე არსებითად არაფერი გაუკეთებიათ.

ზოგიერთი რაიონის მნიშვნელოვან მასივებზე, სადაც ნიადაგის რელიეფი კომბაინების გამოყენების საშუალებას არ იძლევა, პურს მკიან მარტივი მანქანებითა და ხელით. თავის დროზე პურეულის ლეწვა კოლმეურნეობებს საშუალებას აძლევს მინიმუმამდე შეამცირონ მარცვლეულის დანაკარგები, დროულად მოიხადონ პურის ჩაბარების სახელმწიფო ვალდებულება. ამას კი ყველგან არ ითვალისწინებენ.

25 აგვისტოსათვის მომკილი 397.586 ჰექტარიდან (კომბაინებით აღებული პურეულის ჩათვლით) გალეწილი იყო 328.019 ჰექტარზე აღებული მოსავალი. სამარცხვინოდ ჩამორჩება ლეწვა ახალქალაქის რაიონში. დავალება შესრულებული აქვს 13,3 პროცენტით. მარტივი მანქანებითა და ხელით მომკილი 5.860 ჰექტარიდან გალეწილი იყო მარტო 212 ჰექტარზე აღებული მოსავალი. ჩანს, ამ რაიონის ხელმძღვანელებს დაავიწყდათ წარსულის მწარე გაკვეთილი, როცა ისინი წინა წლის მოსავალს თებერვალში ლეწავდნენ.

ლეწვაში დიდი ჩამორჩენაა ახალციხეში, ასპინძაში, წალკაში, ბორჯომში, საჩხერეში, ორჯონიკიძეში, ონში. რედაქციას მოსდის სიგნალები იმის შესახებ, რომ აღნიშნული რაიონების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში ეს სამუშაო სრულიად არაორგანიზებულად მიმდინარეობს. ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშნის კოლმეურნეობაში 100 ჰექტარზე ხელით აღებული მოსავლის ლეწვა უკანასკნელ დრომდე არ ჰქონდათ დაწყებული, რადგან ახმეტის მტს-მა ვერ უზრუნველყო აქ სალეწის მიტანა. იმის გამო, რომ ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლის კოლმეურნეობაში მოსავლის აღების პარალელურად არ მოაწყეს პურის ლეწვა, შეუწყნარებლად ჭიანურდება სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება.

სერიოზული ნაკლოვანებებია ლეწვის საქმეში ასპინძის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. თმოგვის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობაში 60 ჰექტარზე მომკილი პური მინდვრად დაუზვინავად არის დარჩენილი, მას პარუტყვი ანადგურებს. ხიზაბავრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ოცი დღეა ასპინძის მტს-ის სალეწი უქმად დგას ტექნიკური უწესივრობის გამო. ასეთი მაგალითები სხვაგანაც არის.

პირველი რიგის ამოცანაა მკის პარალელურად მთელი სიმძლავრით ვამუშაოთ სალეწები, დავაწესოთ მათი სადღეღამისო მუშაობა, მივაღწიოთ თვითეული სალეწი აგრეგატის მაღალ წარმადობას.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავენ სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განკარგულებაში 500-მდე სრულ წესრიგზე მოყვანილი სალეწია. გარდა ამისა, მტს-ებს სპეციალური ნებართვით შეუძლიათ ლეწვა აწარმოონ სტაციონარულად „კომუნარის“ მარკის კომბაინებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მექანიზატორებს ყველა პირობა აქვთ ლეწვის დასაჩქარებლად; მაგრამ იმის გამო, რომ ასინი სათანადოდ ვერ იყენებენ ამ შესაძლებლობას, სამუშაო ჭიანურდება. სალეწებით ლეწვა ძირითადად ფერხდება მანქანათა ტექნიკური უწესივრობითა და შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობით. ჩამორჩენა ბევრგან იმითაც არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები დროულად ვერ უზრუნველყოფენ ხელით აღებული პურეულის დაზვინვას სალეწების სამუშაო ადგილას.

წარმატების მოპოვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სალეწი აგრეგატების მოწინავე მემანქანეთა მუშაობის გამოცდილების გავრცელებას, საათობრივი გრაფიკის დანერგვას, სადღეღამისო მუშაობის ორგანიზაციას. ამ მხრივ კი ადგილებზე ყველაფერი რიგზე არაა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მთავარი სამმართველო ნაკლებ დაინტერესებას იჩენს მოწინავეთა გამოცდილების შესწავლისა და საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვისადმი.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა ორგანოების საბრძოლო ამოცანაა მთელი ძალები დახარჯონ ლეწვის დასაჩქარებლად, სალეწი მანქანების მთელი სიმძლავრით გამოყენებისათვის.

არცერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ გაულეწავი პური ეს იგივე აუღებელი, მინდვრად დარჩენილი პურია. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ არასწორ პრაქტიკას, როცა ვხედებით დიდ დაშორიშორებას პურეულის აღებასა და ლეწვას შორის. მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ჩვენი კოლმეურნეობები შეძლება მდიდარი იყვნენ ბეღელში შენახული მოსავლით და არა აუღებელი, გაულეწავი მოსავლით.

მივცეთ სამშობლოს მეტი პური — ჩვენი ძლიერების წყარო!

ხიბულის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 26 აგვისტოსათვის 100 პროცენტით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 85 პროცენტი. იმავე რიცხვისათვის ჩაის ფოთლის კრეფის აგვისტოს გეგმა განაღდებული იყო 107,5 პროცენტით.

გეგმის შესრულებაში დაწინაურდნენ მეურნეობის მეორე და მესამე აგროგანყოფილებები. ის ბრიგადები, რომლებსაც ი. გაბუნია, ხ. ჯიმკარიანი და სხვები ხელმძღვანელობენ, ყოველდღიურ დავალებებს 200-400 პროცენტით ასრულებენ. შრომაში თავი ისახელეს სტახანოველმა მუშებმა მ. ნარსიამ, ქ. ხიდაშელმა, ტ. მურზიანმ, თ. გეორხელიძემ, ს. ლომაიამ, ჟ. სიჭინავამ და სხვებმა.

მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 45 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჩვენს დიად სამშობლოში

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საინფორმაციო ცნობა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 27 აგვისტოს სხდომის შესახებ

27 აგვისტოს, დილის 11 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ლ. ნ. სოლოვიოვი.**

სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რუსეთის სფსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და რუსეთის სფსრ 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **გ. პ. დობრინინი** (როსტოვის ოლქის ჩერტკოვსკის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **გ. ა. ხუბაევი** (კალუგის ოკრუგი, კალუგის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. მ. გერასიმოვი** (ტამბოვის ოლქის უვაროვის საარჩევნო ოლქი), რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. მ. პუზანოვი.**

კამათის დამთავრების შემდეგ რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა მომხსენებლის რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ **ი. ი. ფადეევის** საბოლოო სიტყვა.

დეპუტატ **ს. პ. აფანასიევის** წინადადებით რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭო იღებს ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ წესრიგს: რუსეთის სფსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს კენჭი ეყაროს შემოსავლისა და გასავლის საერთო შედეგების მიხედვით, რუსეთის სფსრ 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს კენჭი ეყაროს შემოსავლისა და გასავლის ნაწილის შესრულებას საერთო შედეგების მიხედვით, რუსეთის სფსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს კენჭი ეყაროს მუხლობრივად.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს რუსეთის სფსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და ანგარიშს რუსეთის სფსრ 1951 და 1952 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მუხლობრივად, ხოლო შემდეგ მთლიანად ერთხმად მტკიცდება „კანონი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ი. ნ. ზიმინმა.**

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს დადგენილებას რუსეთის სფსრ სამინისტროებისა და ასსრ სამინისტროების და მინისტრთა საბჭოებთან არსებული სამმართველოების გარდაქმნის თაობაზე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. **ბ. ნ. ჩერნოუსოვის** განთავისუფლების შესახებ და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. **ა. მ. პუზანოვის** დამტკიცების შესახებ.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭო ამტკიცებს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს: „რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, მოვალეობისაგან ამხ. **მ. მ. ბესსონოვის** განთავისუფლების შესახებ“, „რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. **ტ. მ. ზუევას** განთავისუფლების შესახებ“, „რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. **ა. მ. პროკოფიევის** განთავისუფლების შესახებ“, „რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. **დ. პ. პროფერანსოვის** განთავისუფლების შესახებ“, „რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. **ვ. ა. მასლოვის** დანიშვნის შესახებ“, „ამხ. **დ. ი. ალიოხინის** რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ“, „რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. **ვ. ი. ივანოვის** დანიშვნის შესახებ“, „რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და რსფსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად ამხ. **პ. პ. ლობანოვის** დანიშვნის შესახებ“.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს:

რუსეთის სფსრ ვაჭრობის მინისტრად ივანე ალექსის-ძე **ლუკაშევის,**

რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრად ტატიანა მიხეილის ასულ **ზუევას,**

რუსეთის სფსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრად ანატოლ სერგის-ძე **ბოლდირევის,**

რუსეთის სფსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად სერგი პეტრეს-ძე **ნიკიფოროვის,**

რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად ვლადიმერ სტეფანეს-ძე **სტეპანოვის,**

რუსეთის სფსრ იუსტიციის მინისტრად ანატოლ ტიმოთეს-ძე **რუბინჩევის,**

რუსეთის სფსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის მინისტრად ბორის კონსტანტინეს-ძე **ჩუბაროვის,**

რუსეთის სფსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრად დიმიტრი პეტრეს-ძე **პროფერანსოვის,**

რუსეთის სფსრ სოფლისა და სათბობის მრეწველობის მინისტრად ნიკოლოზ ერმოლოზის-ძე **ჩესნოკოვის,**

რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად ნონა ალექსანდრეს ასულ **მურავიოვას** დანიშვნის შესახებ.

რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად აირჩია ალექსი გაბრიელის-ძე **სილაჩოვი.**

შემდეგ რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი რუსეთის სფსრ კონსტიტუციის 130-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ პარტიის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით, რაც მიღებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე და სსრ კავშირის კონსტიტუციის 126-ე მუხლის შესაბამისად.

ამით რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა მთავრდება და სესია დახურულად ცხადდება.

მსუბუქი მრეწველობის ახალი პროდუქცია

ხარკოვი. (საკდესი). ქალაქის მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ადიდებენ მოსახლეობისათვის საჭირო წარმოებას.

ფაბრიკა „კრასნაია ნიტის“ კოლექტივმა აითვისა ხუთი სახის ახალი სპალტოე ქსოვილის გამოშვება. ახალ სართავ და საქსოვ მანქანებზე დაიწყო ქალის სპალტოე დრაფის წარმოება.

ახლა ფეხსაცმლის ფაბრიკების კონვეიერებიდან ჩამოდის შარშანდელზე თითქმის ერთნახევარჯერ მეტი შევრის და ქრომის ახალი ფასონის ფეხსაცმელი.

ფეხსაცმელი შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის

ლენინგრადი, 25 აგვისტო. (საკდესი). ქალაქის ფეხსაცმლის საწარმოებმა დაიწყეს შემოდგომა-ზამთრის სეზონის ფეხსაცმლის დამზადება. აგვისტოში სავაჭრო ორგანიზაციებმა მიიღეს ფაბრიკების „სკოროხოდის“, „პროლეტარსკაია პობედა“ № 1 და № 2-ის და სხვა საწარმოების მიერ დამზადებული მილითნნახევარზე მეტი წყვილი მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ფეხსაცმელი.

ბევრ ლამაზ ფეხსაცმელს უგზავნის მაღაზიებს ფაბრიკა „პროლეტარსკაია პობედა“ № 2. საწარმოს კონვეიერებზე მზადდება 70-მდე ახალი ფასონის შემოდგომა-ზამთრის ტუფლი.

ბეჭონის ჩასხმა ჭრანსპორტიორის დახმარებით

დაბა კომსომოლსკი, 24 აგვისტო. (საკდესი). სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მუშაობა ქვემო სანაოსნო რაბის — კუიბიშევის ჰესის პირველი ასამუშავებელი ობიექტის მშენებლობაზე.

წელს რაბის მშენებელთა კოლექტივმა უნდა ჩასხას მეოთხედ მილიონზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი. იღებენ ყოველ ღონისძიებას, რათა მაქსიმალურად მოახდინონ მუშაობის მექანიზაცია.

24 აგვისტოს ტრანსპორტიორის დახმარებით დაბეტონეს № 3 ბლოკი — რაბის ზემო თავის ერთ-ერთი უდიდესი ბლოკი.

საპატიო მეშახტეები

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ „საპატიო მეშახტის“ წოდება მიანიჭა და დაწესებული საჭკერდენიშანი და მეშახტის საპატიო მუნდირი გადასცა დონბასის, კუზბასის, ურალის, შორეული აღმოსავლეთისა და ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის სხვა აუზების 1.580 მუშას, ბრიგადირსა და სამთო ოსტატს, რომლებმაც მიწისქვეშა სამუშაოებზე და საშახტო მშენებლობაში იმუშავეს სულ ცოტა 10 წელი და მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს გაბუნწყვეტლივ წლის განმავლობაში.

ახალ საპატიო მეშახტეთა შორის არიან ქვანახშირის მრეწველობის მოწინავეები, რომლებიც დაწესებულ ნორმებს ასრულებენ ერთნახევარ-ორ და უფრო მეტჯერ გადაჭარბებით.



უკრაინის სსრ. 23 აგვისტოს 10 წელი შესრულდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ხარკოვის განთავისუფლების დღიდან. ამ ხნის მანძილზე ქალაქში შეიქმნა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების ახალი კვარტალები, აიგო ადმინისტრაციულ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ბევრი ლამაზი შენობა. **სურათზე:** სადგურისწინა მოედანი ქალაქ ხარკოვში (სადგურის აგება დამთავრდა 1952 წლის ბოლოს).

ფოტო ე. ანდრეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ყურძენი დონბასში

სტალინო, 26 აგვისტო. (საკდესი). დონბასის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ ყურძნის კრეფას. ვენახების ფართობი თითქმის 3.500 ჰექტარს შეადგენს. ამ კულტურის მოშენებას მისდევს ოლქის ყოველი მეხუთე კოლმეურნეობა.

სტალინოში შექმნილი მევენახეობისა და მეღვინეობის დონეცის ზონალური საცდელი სადგური დახმარებას უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ვენახის ფართობისა და ყურძნის მოსავლის გადიდებაში. სადგურის ნაკვეთებზე ცდიან 250 ჯიშის ვაზს, რომელთა ნაწილი რეკომენდებული იქნება დონბასში გასაშენებლად.

ზრომადღეზე 3,5 კილოგრამი ხორგალი ავანსად

ქარელი. (საკ. კორ.). სოფელ ლეთეთის კოლმეურნეობაში წელს თავთავიანი კულტურების კარგი მოსავალი მიიღეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაბრიელ კოზანაშვილის ბრიგადა, რომელმაც 55 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 18 ცენტნერი ხორბალი, ხოლო 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 22 ცენტნერი.

კოლმეურნეობაში მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აიღეს პურეული, მოამზადეს თესლი, შეასრულეს პურის დამზადების გეგმა, ავანსად თვითეულ შრომადღეზე გასცეს 3,5 კილოგრამი ხორბალი.

კოლმეურნე გიორგი ელანდიშვილის ოჯახმა შრომადღეებზე ავანსად მიიღო 1.750 კილოგრამი ხორბალი, დიანოზ ფილიშვილის ოჯახმა — 1.640, მიხეილ მარღიშვილის ოჯახმა — 1.985 კილოგრამი.

ბოსტნეულის მაღალხარისხოვანი თესლი

ბორი. (საკ. კორ.). სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადი“ რაიონში ბოსტნეულის მეთესლეობის კოლმეურნეობაა. ყოველწლიურად ხელთუბნელი კოლმეურნე-მებოსტნეები ათობით ცენტნერ მაღალხარისხოვან თესლს აბარებენ სახელმწიფოს.

კოლმეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადა შეუდგა სათესლე ნაკვეთებიდან წლევანდელი მოსავლის თესლის აღებას. „საქბოსტანეულიმთესლის“ გორის საწყობს უკვე ჩაბარდა პირველი პარტია თესლეულის. კარგია თესლის მოსავალი. კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი კომბოსტოს და სამჯერ მეტი ნიორის მაღალხარისხოვანი თესლი ჩააბარა სახელმწიფოს.

მეთესლეობა დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას. თესლის საფასურში კოლმეურნეობამ ავანსად მიიღო 34 ათასი მანეთი, ხოლო მთლიანად ჩაბარების შემდეგ კიდევ მიიღებს 150 ათასამდე მანეთს.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით 26 აგვისტოსათვის მთელ რესპუბლიკაში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 80,8 პროცენტით, აგვისტოსი წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით კი 61,5 პროცენტით.

ცალკე რაიონებში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს აგვისტოს დავალება წინა თვეების დანაკლისით შესრულებული ჰქონდა 52,9 პროცენტით, ქობულეთის — 62,4, ქედის — 40, გალის — 70,5, ოჩამჩირის — 52,1, გულრიფშის — 37,5, სუხუმის — 30, გუდაუთის — 56,3, მახარაძის — 57,6, ჩოხატაურის — 69,7, ლანჩხუთის — 57,2, სამტრედიის — 65,2, წულუკიძის — 37,2, ქუთაისის — 69,3, წყალტუბოს — 22,8, ტყიბულის — 60,1, ცხაკაიას — 56,4, აბაშის — 51, გეგეჭკორის — 68,2, ზუგდიდის — 84,6, წალენჯიხის — 72,9, ჩხოროწყუს — 63,1, ხობის — 62,5, თერჯოლის — 54,2 და ზესტაფონისა — 13,7 პროცენტით.

აგვისტოს პირველ ხუთდღიურში მთელ რესპუბლიკაში დამზადდა 2.514,1 ტონა ჩაის ძირითადი ფოთოლი, მეორეში — 3.675,5 ტონა, მესამეში — 3.490,8, მეოთხეში — 3.742,7 და მეხუთე ხუთდღიურში — 4.074,8 ტონა ჩაის ფოთოლი.

მარტივი მანქანებითა და ხელით აღებული თავთავიანი კულტურების ღეწვა კოლმეურნეობებში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 25 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	სოფლის მეურნ. და დამზადებათა სამმართველოების უფროსები
წინ მიდიან:	
ლაგოდეხი	გ. ბეგაშვილი
გურჯაანი	ვ. შავგულიძე
ბოგდანოვკა	შ. ლორეციანი
თელავი	ა. გოგიძე
ლენტეხი	ი. ხაბულიანი
წულუკიძე	გ. რუხაძე
სამხრეთ ოსეთი	გ. მიროტაძე
ჩამორჩებიან:	
ონი	ბ. გოცირიძე
ახალქალაქი	ა. ნიკოგოსიანი
წალკა	პ. შახბაზოვი
საჩხერე	ს. ჭიხორია
ადიგენი	ა. გოლეთიანი
ბორჯომი	დ. ლურსმანაშვილი
ასპინძა	გ. ნიორაძე
თიანეთი	კ. გოჯიაშვილი
დმანისი	დ. ანდღულაძე
დუშეთი	შ. მწითური
თეთრი წყარო	ნ. წიკლაური
ახალციხე	შ. წიქვაძე

ავამაღლოთ სარეწაო კოოპერაციის მუშაობის კულტურა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრის ამხანაგ ა. ი. მიკოიანის სიტყვიდან

ამ დღეებში მოსკოვში შედგა სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს კრება. კრებებს მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა კაცმა — სსრ კავშირის ცენტრალური სარეწაო საბჭოს წევრებმა, სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო საბჭოების გამგეობების თავმჯდომარეებმა, მრავალი სარეწაო კავშირისა და არტელის ხელმძღვანელმა.

კრებამ მთელი თავისი ყურადღება გაამახვილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული დირექტივების შესრულებაზე, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრ აღმავლობაზე.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ამხანაგმა ა. ი. მიკოიანმა.

სარეწაო კოოპერაციის საბჭო ისეთ მომენტში შეიკრიბა, როცა სახალხო მოხმარების საგნების მწარმოებელ მთელ მრეწველობას წაყენებული აქვს ახალი მოთხოვნები, როცა ყველა შესაძლებლობაა უფრო სწრაფად განვითაროთ სარეწაო კოოპერაცია და მკვეთრად გავაუმჯობესოთ გამომუშავებული საქონლის ხარისხი.

როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ მალენკოვის გამოსვლიდან მოგეხსენებათ, მთავრობამ და ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღიარეს, რომ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების ამჟამად მიღწეული მოცულობა საკმარისი არ არის. პარტიას და მთავრობას საჭიროდ მიაჩნიათ მნიშვნელოვნად გაადიდონ დავალებანი სახალხო მოხმარების საგნების წარმოების დარგში, უფრო ფართოდ ჩაებან ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში მრეწველობის ყველა დარგი, მიიღონ ღონისძიებანი საბჭოთა ვაჭრობის განვითარებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის საბინაო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ქსელის გაფართოებისათვის.

მძიმე მრეწველობის განვითარებაში მიღწეულმა წარმატებებმა ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ მოვაწყოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამით წარმატებით განვახორციელოთ მთავარი ამოცანა — უზრუნველვყოთ ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. გადაუდებელი ამოცანაა ის, რომ 2-3 წლის განმავლობაში მკვეთრად გავადიდოთ მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

მასობრივი მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სარეწაო კოოპერაცია. სარეწაო კოოპერაციის შესახებ ზოგნი ამბობენ, რომ იგი კუსტარულია, და საეჭვოდაც კი ხდიან მისი არსებობის მიზანშეწონილობას სოციალისტური მრეწველობის ზრდის პირობებში. ასეთი მსჯელობა მცდარია. უნდა შევიგნოთ, რომ სარეწაო კოოპერაცია სახელმწიფო მრეწველობის თანაშემწეა და შეავსებს მას ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეში, იგი სახელმწიფო მრეწველობის დროებითი თანაშემწე კი არ არის, არამედ მისი მუდმივი თანაშემწეა. სარეწაო კოოპერაცია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მუდმივი წყაროა, რომელიც შეავსებს სახელმწიფო მრეწველობის მუშაობას, ხოლო ისეთ დარგებში, როგორიც არის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება ფეხსაცმლისა და ტანისამოსის, საოჯახო ინვენტარის, სამეურნეო საქონლის რემონტის დარგში, იგი ძირითად როლს ასრულებს. სწორედ ამიტომ სარეწაო კოოპერაცია სოციალისტურ მრეწველობასთან ერთად სწრაფი ტემპებით განვითარდება.

სარეწაო კოოპერაცია ამჟამად მეტ საქონელს უშვებს, ვიდრე შარშან, და მეტს, ვიდრე ომამდელ დროს. 1953 წელს სარეწაო კოოპერაცია გამოუშვებს 47 მილიარდი მანეთის ფართო მოხმარების საქონელს ნაცვლად 1952 წლის 42 მილიარდი მანეთისა და ომამდელი 1940 წლის 28 მილიარდი მანეთისა. ამრიგად, 1953 წელს იმ საქონლის წარმოება, რომელსაც სარეწაო კოოპერაცია უშვებს, ომამდელთან შედარებით გადიდდება 70 პროცენტით და 1952 წელთან შედარებით — 13 პროცენტით. მაგრამ საქონლის გამოშვების კიდევ უფრო გადიდების არსებული შესაძლებლობანი გამოყენებულია აშკარად არასაკმარისად. სარეწაო კოოპერაციას შეუძლია უკვე მიმდინარე წელს გაადიდოს და კიდევაც მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს ბაზრისათვის საქონლის გამოშვება, ხოლო უახლოეს 2-3 წელიწადში ერთიორად გაადიდოს იგი.

ამჟამად მთავრობა ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს იმისათვის, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებით. ეს ღონისძიებანი ერთი მხრივ გაადიდებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციებისა და ნედლეულის წარმოებას და ქალაქებისათვის მიწოდებას, რაც გაუმჯობესებს ქალაქის მოსახლეობის მომარაგებას სასურსათო საქონლით და უზრუნველყოფს მსუბუქ მრეწველობას ნედლეულით, ხოლო მეორე მხრივ შესაძლებელს გახდის სერიოზულად გადიდდეს შემოსავალი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისა, რომლებიც დამატებითს მოთხოვნებს წამოაყენებენ ფართო მოხმარების საქონელზე, საწარმოო-სამეურნეო მნიშვნელობის საგნებზე, აგრეთვე მოითხოვენ საყოფაცხოვრებო მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ როლს უნდა ასრულებდნენ სარეწაო კოოპერაციის არტელები, რომლებიც სოფელ იდგილებში არსებობენ. მათ ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ისეთი საქონლით უზრუნველყოფის საქმეში, რომლებიც აუცილებელია სოფლისათვის.

სარეწაო კოოპერაციაში 126 ათასამდე საწარმო და სახელოსნოა, იქ მუშაობს 1.865 ათასი კაცი — უზარმაზარი არმია! მასობრივი მოხმარების ცალკეული საქონლის წარმოებაში სარეწაო კოოპერაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მაგალითად, იგი ამზადებს ჩვენს ქვეყანაში გამოშვებული მთელი ავეჯის 40-მდე პროცენტს; 35 პროცენტამდე სამკერვალო ნაწარმს; 40 პროცენტ ზედა ტრიკოტაჟს; 35 პროცენტამდე ლითონის საწოლებს; 35 პროცენტზე მეტ ქეჩის ფეხსაცმელს; 50 პროცენტამდე საზიდრებსა და ურმებს.

სარეწაო კოოპერაცია ჩვენს ქვეყანაში ისეთი საქონლის ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელია, როგორიც არის ხელით ნაქსოვი ხალიჩები, მხატვრული ნაწარმი, კულტსაქონელი, სათამაშოები, სატყეო-ქიმიური პროდუქტები; კოოპერაციული მრეწველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე მოსახლეობის მომსახურებაში საოჯახო ნივთების, ფეხსაცმლისა და ტანისამოსის რემონტით. სარეწაო კოოპერაციის სარემონტო სახელოსნოების ქსელი 45 ათას ერთეულს შეადგენს, და ეს ქსელი ყოველწლიურად ასრულებს საოჯახო ნივთების რემონტის დაახლოებით 5 მილიარდი მანეთის სამუშაოებს. ეს ძალიან დიდი და სერიოზული ციფრია.

ჩვენში ცოტა როდია ისეთი არტელები, რომლებიც კარგ, მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ. ამ პროდუქციის ნიმუშები ნაჩვენები იყო რსფსრ სარეწაო კოოპერაციის ფართო მოხმარების საქონლის გამოფენაზე, რომელიც ა. წ. ივლისში ქალაქ მოსკოვში მოეწყო. სარეწაო კოოპერაციას კარგი მუშაობის მრავალი მაგალითი აქვს. წარმოების მოწინავენი და მთელი არტელები უშვებენ სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვან საქონელს, რომელსაც დამსახურებული მოწონება აქვს.

სარეწაო კოოპერაციის ბევრ არტელში წარმოების ნოვატორები მუდამ სრულყოფენ წარმოების პროცესს. მათ უნდა ბაძავდნენ სარეწაო კოოპერაციის ყველა მუშაკი და ყველა ის არტელი, რომელიც მუშაობაში ჩამორჩება. მაგრამ ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების არა მარტო რაოდენობაა, თუმცა ამ საქონლის წარმოება სისტემატურად გადიდდება. მთავარი ამოცანაა სარეწაო კოოპერაციის მიერ გამოშვებული საქონლის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება. უნდა აღინიშნოს, რომ სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭო და სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკური საბჭოები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას, მაგრამ ჯეროვნად არ იბრძვიან პროდუქციის ხარისხისათვის. საკმარისია ითქვას, რომ არსებულ დებულებაში შრომის პრემიალურ-პროგრესიული ანაზღაურების შესახებ გამოშვებული პროდუქციის კარგი ხარისხისათვის წახალისების მაჩვენებლებიც კი არ არის. სარეწაო კოოპერაციამ რაც შეიძლება მალე უნდა გარდაქმნას მუშაობა, თორემ ბევრი არტელი გაკოტრდება, რადგან შეუძლებელია დაბალი ხარისხის საქონლის გასაღება.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, მიუხედავად საწარმოთა მცირე ზომისა და ნაკლები მექანიზაციისა, სარეწაო კოოპერაციას ის უპირატესობა აქვს სახელმწიფო მრეწველობის წინაშე, რომ მისი არტელები, როგორც წესი, მდებარეობენ ნედლეულის წყაროების რაიონებში და ამ ნედლეულის ზიდვაზე უმნიშვნელო სახსრები ეხარჯებათ. მეორე უპირატესობაა სარეწაო კოოპერაციის სიახლოვე მომხმარებელთან, რაც აგრეთვე არ მოითხოვს დიდ ხარჯებს მზა პროდუქციის მიწოდებაზე. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ამხანაგმა მალენკოვმა სამართლიანად უსაყვედურა სავაჭრო ორგანიზაციებს, რომ ისინი სუსტად იბრძვიან საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ანაგვიანებენ სავაჭრო ქსელს ცუდი ხარისხის საქონლით, რომელსაც გასავალი არა აქვს. ეს მითითება ფართო მოხმარების საქონლის დაბალ ხარისხზე, რაც სამართლიანია სახელმწიფო მრეწველობის მიმართ, ორმაგად სამართლიანია სარეწაო კოოპერაციის მიმართ. სავაჭრო ორგანიზაციები ახლა უფრო სასტიკად მოეკიდებიან საქონლის ხარისხს, არ მიიღებენ ისეთ საქონელს, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნილება არ არის და რომელიც, მაშასადამე, ვერ საღდება. ამიტომ საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ არტელების მუშაობა, რათა გამოშვებულ იქნას კარგი საქონელი, რომელიც გასაღდება სავაჭრო ქსელში.

სარეწაო კოოპერაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მკვეთრად გაუმჯობესოს საქონლის გამოყვანა და გააფართოოს მისი ასორტიმენტი. საჭიროა მკვეთრად მოვაბრუნოთ საქმე იმ მიმართულებით, რომ გამოშვებულ იქნას მკვიდრი, ლამაზი ნაწარმი, რომელიც უცხოეთის საუკეთესო ნიმუშებს არ ჩამოუვარდებოდეს.

ამავე დროს კი არის ბევრი ფაქტი, რომ უშვებენ ცუდად გამოყვანილ, ცუდი ფასონისა და მოდელის და შეუფუთავ საქონელს. ამ მხრივ რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ეს ფართო მოხმარების ამ საქონლის გამოფენამაც კი ცხადყო, რომელსაც რსფსრ სარეწაო კოოპერაცია უშვებს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 16 ათასი ნაწარმი, ამასთან ეს რჩეული საქონელი იყო, მაგრამ მათგანაც კი 4 ათასზე მეტი ნაწარმის შესახებ მნახველებმა გააკეთეს მითითებანი, რომ საქონელი ცუდად არის გამოყვანილი, რომ მისი გარეგნობა არადამაკმაყოფილებელია, რომ ნაწარმი დაუდევრად არის დამუშავებული, რომ ცუდია ფასონები და მოდელები. ეს იმასაც მოწმობს, რომ სარეწაო კოოპერაციის ბევრ მუშაკს, ეტყობა, გემოვნება საკმაოდ არა აქვს განვითარებული, რამდენადაც იმას, რასაც ისინი კარგად თვლიან, ხალხი იწუნებს. სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა უნდა აამაღლონ პასუხისმგებლობა გამოშვებული საქონლის ხარისხისათვის, გააძლიერონ კონტროლი ამ საქმისადმი და, რაც თავარია, აიყვანონ წარმოების კულტურა მაღალ დონეზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

წარმოების კულტურის ამაღლება უწინარეს ყოვლისა მოითხოვს გადაისინჯოს მოძველებული ტექნოლოგია, რომელსაც მთელ რიგ არტელებში იყენებენ. სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა უნდა იზრუნონ მოწყობილობის მოვლისათვის, მისი სრულყოფისათვის, თვალყური ადევნონ მოწყობილობის რემონტის დროულად შესრულებას. წარმოების კულტურის ამაღლებასთან უნდა ახლდეს მუშაკთა კვალიფიკაციის ზრდა.

სარეწაო კოოპერაციის არტელების მიერ გამოშვებული საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არტელებში, განსაკუთრებით ისეთ არტელებში, რომლებიც მხატვრულ ნაწარმს უშვებენ, ჰყავდეთ მხატვრები, მოდელიერები, რათა უზრუნველყოფილ იქნას საქონლის კარგი გამოყვანა, მისი სასიამოვნო გარეგნული სახე. ამ საქმეში მოწინავე არტელებს უნდა მიბაძონ.

მსუბუქ მრეწველობაში ამ ბოლო დროს შემუშავებულია ფეხსაცმლის ბევრი კარგი მოდელი, ტანისამოსის ახალი მოდელები და ფასონები, გაუმჯობესებულია ქსოვილებისა და საგალანტერიო საქონლის, გადასაფარებლებისა და საბნების, ტიულ-ფარდის ნაკეთობისა და სხვა სახის პროდუქციის ნახატები. სამკერვალო მრეწველობაში შემუშავებულია მზა ტანისამოსის შეკერვის ტიპიური მეთოდაკა. ეს შესაძლებელს ხდის შევამციროთ ნარჩენები, გავაუმჯობესოთ მზა ნაწარმის ხარისხი და შევამციროთ შრომის დანახარჯები მათს წარმოებაზე. თქვენ უნდა სწავლობდეთ სახელმწიფო, სოციალისტურ მრეწველობისაგან, თქვენს საწარმოებში გადაგქონდეთ სახელმწიფო მრეწველობის ყველა მიღწევა. ეს შესაძლებლობას მოგცემთ გამოუშვათ უკეთესი ხარისხის პროდუქცია.

სარეწაო კოოპერაციამ უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა და მისი ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. უკვე მიმდინარე წელს უნდა გავადიდოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და სერიოზულად გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, ამასთან გავითვალისწინოთ სამუშაოთა კიდევ უფრო ფართო პროგრამა 1954 წლისათვის.

ბევრი არტელი მოუწყობელ შენობებში მუშაობს. მოსკოვის და ზოგიერთმა სხვა ორგანიზაციებმა მოამზადეს წინადადებანი იმის შესახებ, რომ აშენდეს საშუალო და მცირე საფაბრიკო შენობები, სადაც თავმოყრილ იქნან ცუდი ბინების მქონე წვრილი არტელები, რათა განხორციელდეს მექანიზაცია, გაუმჯობესდეს ფართო მოხმარების საქონლის ხარისხი, შემცირდეს მისი თვითღირებულება. მოსკოვის სარეწაო კოოპერაციის მუშაკების აზრით, მოსკოვში რომ აშენდეს 27 საშუალო საფაბრიკო შენობა და საყოფაცხოვრებო მომსახურების 30 კომბინატი, ამით შეიქმნება სავსებით ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ განვავითაროთ წარმოება და განვახორციელოთ მასი სპეციალიზაცია. მოსკოვის მაგალითის მიხედვით და ადგილობრივი პირობების შესაბამისად ასეთი მუშაობა უნდა მოეწყოს აგრეთვე სხვა ქალაქებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში.

შემდეგ, საჭიროა განვახორციელოთ სარეწაო კოოპერაციის მოქმედ საწარმოთა მექანიზაცია. სახელმწიფო მანქანათმშენებლობა ამ საქმეში დახმარებას გაგიწევთ, მაგრამ საჭიროა საკუთარ საწარმოებშიც უფრო ფართოდ განავითაროთ მექანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობის წარმოება. ამასთან დაკავშირებით წახალისების ღირსია ინიციატივა ლენინგრადის საქალაქო სარეწაო საბჭოსი, რომელმაც მოაწყო ფეხსაცმლის რემონტის კონვეიერული წარმოება, რის გამოყენებაც შრომის ნაყოფიერებას აიდიებს 2,5-ჯერ, ამავე დროს აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და ამცირებს მის თვითღირებულებას.

ფრონტი მნიშვნელოვანია გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომსახურება ფეხსაცმლის, ტანისამოსის, ინვენტარის, საათების, პატეფონების, რადიომიმღებთა და ტელევიზორთა რემონტით. სანამუშოდ უნდა მოეწყოს ტანისამოსისა და ფეხსაცმლის რემონტი. სარეწაო კოოპერაცია კარგად უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებებს. კერძოდ, უნდა შეიქმნას სპეციალური სამშენებლო-სარემონტო ბრიგადები, უზრუნველყოფილ იქნან სინი სატრანსპორტო საშუალებებითა და მექანიზმებით, შერჩეულ იქნას კვალიფიციური კადრები იმისათვის, რომ მაღალი ხარისხით, სწრაფად და იაფად წარმოებდეს მშრომელთა ბინების რემონტი და ინდივიდუალური სახლებისა და აგარაკების მშენებლობა მოქალაქეთა შეკვეთებით. პირად სარგებლობაში ველოსიპედების, მოტოციკლებისა და ავტომობილების გაყიდვის ზრდასთან დაკავშირებით საჭიროა გაფართოვდეს მათი სარემონტო სახელოსნოების ქსელი.

საჭიროა მკვეთრად შევცვალოთ სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს მხრივ ხელმძღვანელობის მეთოდები. შემოწმებასა და კონტროლთან ერთად არტელებს სისტემატურად უნდა ვუწევდეთ დახმარებას: ტექნიკურს, კადრების მომზადებაში, შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვაში. საჭიროა ბოლო მოეღოს წესდების დარღვევას და უზრუნველყოფილ იქნას მისი ზუსტად დაცვა. უნდა ავამაღლოთ სარეწაო კოოპერაციის ყველა მუშაკის აქტივობა, ამასთან გვასწავლეს, რომ ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და იგი დიდ ინიციატივას უნდა იჩენდეს საქმის გაუმჯობესებაში. ყველგან უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის აუცილებელი პირობა.

სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს, რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების და სარეწაო კოოპერაციის არტელების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირებისათვის. საჭიროა აღმოვფხვრათ ცალკეული არტელების ზარალიანობა, მიგაღწიოთ ყველა არტელის რენტაბელურობას.

სარეწაო კოოპერაციაში ცუდად წარმოებს კაპიტალური მშენებლობა და ჯეროვნად ვერ აფასებენ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ზრდის, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის მნიშვნელობას. მშენებლობას ხელს უშლიდა აგრეთვე საშენი მასალების ნაკლებობა, მაგრამ ამჟამად ეს საკითხები გადაიჭრა, და საჭიროა გავაუმჯობესოთ მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საქმე. სავაჭრო ბანკმა უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი სარეწაო კოოპერაციისათვის სესხების მიცემის საქმეში.

მთავრობამ გადაწყვიტა გამოჰყოს დეფიციტური მაღალხარისხოვანი ნედლეული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის. ამასთან დაკავშირებით სარეწაო კოოპერაციას გაეწევა საჭირო დახმარება ნედლეულითა და მასალებით იმ არტელებისათვის, რომლებიც უშვებენ მკვიდრ, კარგად გამოყვანილ, მაღალხარისხოვან საქონელს, აგრეთვე მასალებით ფეხსაცმლის, ტანისამოსის, საოჯახო საგნების და მშრომელთა ბინების რემონტისათვის. სამშენებლო მიზნებისათვის სარეწაო კოოპერაციას საშენ მასალებსაც გამოუყოფენ. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ საჭირო არ არის არსებული ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება. პირიქით, გულმოდგინედ უნდა ვეძებდეთ ნედლეულის ადგილობრივ წყაროებს და ყოველმხრივ ვავითარებდეთ ნედლეულის წარმოებას სარეწაო კოოპერაციის სისტემაში. ეს ამოცანა კვლავ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მოწოდებული არიან ყოველნაირი დახმარება გაუწიონ მუშაობაში სარეწაო კოოპერაციას.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობის საქმეში სარეწაო კოოპერაციის მონაწილეობა უნდა დაიწყოს პრაქტიკული მუშაობის გარდაქმნით, მთელი მისი საქმიანობის კულტურის ახალ, უფრო მაღალ დონეზე აყვანით. ნება მიბოძეთ იმედი ვიქონიო, რომ სარეწაო კოოპერაციის მშრომელნი მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში აღმოჩნდებიან იმ ახალ მოთხოვნათა სიმაღლეზე, რომლებსაც უყენებენ მათ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

მოძმე რესპუბლიკებიდან

დიდი ფარმაღობის ქარხანა

ბაქო. ძერჟინსკის სახელობის ქარხნის ამწყობი საამქროს სტელაჟებზე დევს ხუთმეტრიანი ცილინდრები, რომელთაგან თვითეულს შიგნივ აქვს 30-მდე დამოუკიდებელი მექანიზმი. ეს არის ტუმბოები სხვადასხვა სიღრმის ნავთობის ჭაბურღილების საექსპლოატაციოდ.

ქარხანა უშვებს ასამდე ტიპის ტუმბოებს მცირედებიტიანი, დიდდებიტიანი, ქვიშიანი, გაზიანი, პარაფინოვანი და სხვა ჭაბურღილების საექსპლოატაციოდ. ქარხნის პროდუქცია მიდის ბაქოს, გროზნოს, ბაშკირეთისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ნავთობიანი რაიონების სარეწებში.

ამჟამად ქარხანა შეუდგა ახალი სახეობის ტუმბოს გამოშვებას, რომელიც ააგო ტუმბოების სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ. წინანდელთაგან განსხვავებით ახალი ტუმბო ადვილი შესაკეთებელია და დეტალების შეცვლაც ადვილია.

ამ დღეებში ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ათი დღით ადრე გამოუშვა ახალი კონსტრუქციის ტუმბოების პირველი პარტია.

მძიმე წონის მატარებლები

ბაქო. ბალაჯარის დეპოს მეროთ-ქმლავლეები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებით და ამხანაგ ვ. მ. მალენკოვის სიტყვით მტკიცედ იბრძვიან სახალხო მეურნეობის ტვირთების გადაზიდვის დაჩქარებისა და სათბობის მომჭირნეობისათვის.

ამ დღეებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მემანქანე ი. მამედოვის ბრიგადამ. მან დვინიდან ბალაჯარაში მიიყვანა მატარებელი, რომლის წონა 400 ტონით აღემატებოდა ნორმას და ამასთან დადგენილ სიჩქარეს საათში 4 კილომეტრით გადააჭარბა.

ასეთივე წონის მატარებლები წაიყვანეს ამ უბანზე მემანქანეებმა ნ. ხრისტოვსკისა და ნ. ვასკანოვის ბრიგადებმა. თვითეულმა მათგანმა მატარებელი წაიყვანა დიდი ტექნიკური სიჩქარით და ნორმას სამი კილომეტრით გადააჭარბა საათში.

მძიმე წონის შემადგენლობათა წაყვანისას დიდძალი სათბობი დაზოგა მემანქანე ა. ლონდარენკოს ბრიგადამ, წლის დამდეგიდან მან გეგმის გადაჭარბებით გადაზიდა 12 ათას ტონაზე მეტი ტვირთი და 67 ტონა სათბობი დაზოგა.

ახალი ფაბრიკა

ერევანი. ეროვნული ფერადი ლითონების ქალაქ — ლენინაკანს ახალი მძლავრი საწარმოები ემატება. აქ გამოსაყვან ფაბრიკაში დაიწყო მონტაჟი მოწყობილობისა, რომელიც მოდის მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ივანოვოდან, ტაშკენტიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

ახალი ფაბრიკა ერთ-ერთი უდიდესი იქნება ამიერკავკასიაში. გამოსაყვანი ფაბრიკის ამუშავებით ლენინაკანის საფეიქრო კომბინატი ერთიანოთხად გააფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს. გამოუშვებენ სატინას, ჩითებს, შალის ქსოვილ „ტრუკოლს“, ტილოსებრ ქსოვილს და სხვებს.

უკვე ახლა წარმოებს დიდი მუშაობა გამომყვანთა კადრების მოსამზადებლად. ამ დღეებში მოსკოვიდან დაბრუნდა მხატვრების, გრავიორების და სხვა სპეციალობათა მუშაკების დიდი ჯგუფი, რომლებმაც დედაქალაქში მაღალი კვალიფიკაცია მიიღეს.

ეძიმეები მინდვრად

ერევანი. მოსავლის აღების სამუშაოთა პირველი დღეებიდან სომხეთის რაიონული ცენტრებისა და სოფლების სამედიცინო დაწესებულებებმა გაუმჯობესეს კოლმეურნეთა მომსახურება საველე ბანაკებსა და სოფლებში.

სტეპანავანის რაიონის ყველა სოფელში განხორციელდა მოსახლეობის მთლიანი დისპანსერიზაცია. ყველა კოლმეურნემ გაიარა სამედიცინო შემოწმება. ისინი, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა, სამკურნალოდ გაიგზავნენ.

რაიონული ცენტრების სამკურნალო დაწესებულებებმა და სოფლის საუბნო საავადმყოფოებმა კოლმეურნეთა უკეთ მომსახურებისათვის მუშაობა ორ ცვლად დაიწყეს.

მედიცინის მუშაკები ხშირად დადიან საველე ბანაკებში, აწყობენ საუბრებს კოლმეურნეებთან და ადგილებზე უწევენ მათ საჭირო დახმარებას. გარდა ამისა, კოლმეურნეობათა ბრიგადებსა და მტს-ებში გამოყოფილია კოლმეურნეთაგან შემდგარი სანიტარული რაზმეულების წევრები. ისინი მოძრავი აფთიაქებით პირველ დახმარებას უწევენ მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებს.

ეძიმეები მინდვრად

ერევანი. მოსავლის აღების სამუშაოთა პირველი დღეებიდან სომხეთის რაიონული ცენტრებისა და სოფლების სამედიცინო დაწესებულებებმა გაუმჯობესეს კოლმეურნეთა მომსახურება საველე ბანაკებსა და სოფლებში.

სტეპანავანის რაიონის ყველა სოფელში განხორციელდა მოსახლეობის მთლიანი დისპანსერიზაცია. ყველა კოლმეურნემ გაიარა სამედიცინო შემოწმება. ისინი, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა, სამკურნალოდ გაიგზავნენ.

რაიონული ცენტრების სამკურნალო დაწესებულებებმა და სოფლის საუბნო საავადმყოფოებმა კოლმეურნეთა უკეთ მომსახურებისათვის მუშაობა ორ ცვლად დაიწყეს.

მედიცინის მუშაკები ხშირად დადიან საველე ბანაკებში, აწყობენ საუბრებს კოლმეურნეებთან და ადგილებზე უწევენ მათ საჭირო დახმარებას. გარდა ამისა, კოლმეურნეობათა ბრიგადებსა და მტს-ებში გამოყოფილია კოლმეურნეთაგან შემდგარი სანიტარული რაზმეულების წევრები. ისინი მოძრავი აფთიაქებით პირველ დახმარებას უწევენ მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებს.

დავძლიოთ ჩამორჩენა მეცხოველეობაში!

როცა არ ჩანს საქმის გულშემატკივარი

საუბარი საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საკითხს შეეხებოდა.

— ჩვენ რაც შეგვიძლია ვმუშაობთ, — გვითხრა სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონული სამმართველოს უფროსმა ს. კოტეტიშვილმა, — და მაგიდის უჯრიდან თივის აღებისა და სილოსის დამზადების გეგმების შესრულების თაობაზე კოლმეურნეობებთან მიმოწერის მთელი საქმე ამოგვილაგა.

— აი, თუ არ გჯერათ, გაეცანით. ესეც თივის აღებისა და სილოსის დამზადების გეგმა-განრიგი...

საუბარში მალე გამოირკვა, რომ თვითონ ს. კოტეტიშვილი და სამმართველოს აპარატის სხვა მუშაკები კონკრეტული, ოპერატიული დახმარების ნაცვლად კოლმეურნეობებს ქაღალდებით, დეკადური ანგარიშებიდან აღებული ციფრებით ხელმძღვანელობენ.

ეს, ცხადია, გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა საქმიანობაზე. კასპის რაიონის კოლმეურნეობები სუსტად იბრძვიან საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. სოფელ კავთისხევის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ხოკერაშვილი) მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნის საკითხს მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან. სხვანაირად არ შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ ივლისში კოლმეურნეობაში მხოლოდ 22 ჰექტარზე გათიბეს ბუნებრივი თივა. აგვისტოს პირველ ორ დეკადაში თივა სულ არ აუღიათ. სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს მეცხოველეობის განყოფილების გამგე და მთავარი ზოოტექნიკოსი ი. ზაქარიაშვილი უცნაურად აცხადებს:

— ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობას თივის მასივები მთაშიც აქვს და ალბათ იქ ჯერ ადრეა თიბვაო.

თივის აღებაში ჩამორჩა აგრეთვე თელადგორის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. მუხიგულაშვილი), რომელსაც დავალება მხოლოდ სანახევროდ აქვს განაღდებული. ასეთივე სურათია სოფელ გარგალის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებასა“ (თავმჯდომარე გ. ქსოვრელი) და გუდალეთის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. თაგვიაშვილი).

უფრო ცუდი მდგომარეობაა სილოსის დამზადების საქმეში. ივლისის უკანასკნელ სამ და აგვისტოს პირველ ხუთდღიურში რაიონის კოლმეურნეობებს უნდა დაესილოსებინათ 700 ტონა მწვანე მასა, დამზადებული კი იყო მხოლოდ 237,5 ტონა. აგვისტოს მეორე ხუთდღიურში დასილოსების ტემპი რამდენადმე დაჩქარდა, მაგრამ მაინც კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ეს იმიტომ, რომ სილოსის დამზადებაზე სრული დატვირთვით არ მუშაობენ მტს-ების სილოსის საჭრელი მანქანები. მაგალითად, 6 აგვისტოს სოფელ მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. გუგულაშვილი) მთელ დღეს გაცდა კასპის მტს-ის ერთი სილოსის საჭრელი მანქანა იმის გამო, რომ კოლმეურნეობამ ადგილზე ვერ მიზიდა სილოსის დასამზადებელი მასალა. ასეთ ფაქტებს სხვა კოლმეურნეობაშიც ვხვდებით.

სამთავისის მტს-

ფელეტონი

მაკვნე სენი

არსებობს ერთი ტექნიკუმი.

ფრიად სიმპათიური ტექნიკუმია და ექვემდებარება ფრიად სიმპათიურ სამინისტროს. და რადგანაც ეს ასეა, ჩვენ გვაინტერესებს, რამდენად სიმპათიურია მისი დირექტორი.

ხომ არ მოედო ხავსი, ხომ არ ბუდობს მასში გადმონაშთისებური რამ მანკიერება, ან ხომ არ გამედიდურდა, როგორც, სამწუხაროდ, მოსდის ზოგიერთს, როცა „პობედა“ სახლში მიაკითხავს.

ჩვენ მის ვინაობაზეც არ შეეჩერებდით ყურადღებას, მას რომ არ შეჰყრიდა ერთი სენი, რომლის სახელწოდება ლათინურად ჯერ არ არის თარგმნილი და ამიტომ ვერ ვნახეთ სამედიცინო ლექსიკონში. ეს სენია ზედმეტი საცხოვრებელი ფართობით გატაცება, რაც მეტად სახიფათო სენია.

ჰო და იმას მოგახსენებდით, არსებობს ერთი ტექნიკუმი და, ცხადია, როგორც ყოველ ტექნიკუმს, მასაც ჰყავს დირექტორი. ის გახლავთ მახეილ არტემის-ძე ჯიბუტი.

ბევრი რამ არ ვიცით მისი ბიოგრაფიიდან. ვიცით, რომ მას ეს ტექნიკუმი აქვს დამთავრებული, აქვე იყო ლაბორანტად, კარგი პედაგოგების ხელშეწყობით გზა გიკაფა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით უმაღლესი განათლება მიიღო.

თუ როგორ მიაღწია ტექნიკუმის დირექტორობას, ამაზე ბევრი მითქმა-მოთქმაა, მაგრამ ჩვენ ამას ახლა არ გამოვუდგებით. ისე უნარიანობას ვერ წაკართმევთ მიხეილს. ჯერ მან ერთი ოთახი დაიკავა ტექნიკუმის ლაბორატორიისათვის განკუთვნილ კორპუსში, შემდეგ შემოიერთა მეორე, შემდეგ კიდევ მესამე; ისე რომ მისი დირექტორული ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში მისი ბინის ფართობი ას კვადრატულ მეტრს აღემატებოდა. ესეც ხომ თავისებური უნარიანობაა!

დაწესებულების უფროსისათვის მაგარი ხელია საჭირო. ეს მაგარი ხელიც მალე გამოიჩინა დირექტორმა. უდანაშაულოდ მოხსნა, როგორც არასაიმედო, მისი აღმზრდელი და მოამაგე მზეკოვანი პედაგოგი — მათემატიკოსი ნიკოლოზ კოპალეიშვილი.

— ეჰ, ჩემი ბრალია, ცუდად გამიზრდიხარ, შვილო, — ჩაილაპარაკა მოხუცმა პედაგოგმა, და ეს იყო მისი პროტესტი.

დირექტორმა ტექნიკუმი და, განსაკუთრებით, ტექნიკუმის ლაბორატორია გამოაცხადა უაღრესად საიდუმლო ობიექტად, უნდობლობა გამოუცხადა კერძო მობინადრეებს, რომლებიც ათეულწლობით ცხოვრობდნენ ტექნიკუმის ეზოში და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ დაეცალათ ბინები. თითოს კანონიერი მოთხოვნა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მობინადრეები ჯერ კიდევ ტექნიკუმის დაარსებამდე ცხოვრობდნენ ამ ეზოში და კანონი მათ უფლებას აძლევს მოითხოვონ სამაგიერო თანაბარი ბინა.

— რის კანონი, რა კანონი! კანონიც მე ვარ და გამგებელიც, — ისმოდა დირექტორის შუქარა. ყველას 24 საათში გავყრი ქუჩაში. ამას მოითხოვს საქმის ინტერესები... მე წინ ვერავინ აღმიდგება...

— ცოდონი არიან... ჩვენი ტექნიკუმის ყოფილი მასწავლებლები მაინც დავზოგოთ, — ჰკადრებდნენ ხელქვეითნი დირექტორს.

— მე არავითარი ცოდვა და მადლი არ ვიცი... ტყეს ჩეხენ, ნაფოტები ცვივა... რა ვუყოთ მერე, რომ ჩვენი ყოფილი დამსახურებული მასწავლებლები არიან... ის ურჩევნია მამეულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, — ხომ გაგიგონიათ.

— კი, სჯობდესო, მაგრამ სდევნიდესო არავის უთქვამს, — გაუბედეს განრისხებულ დირექტორს.

— ხვალიდანვე ჩაკეტეთ ალაყაფის კარი, დააყენეთ კართან დარაჯი და უსაშვებოდ აქ არავინ შემოუშვათ. მე აქ საიდუმლოებას ვდარაჯობ.

— სასამართლოს გადავცეთ მაინც...

— მერე და სასამართლო გამიბედავს რამეს? მე უფლებამოსილი ვარ და ვმოქმედებ ჩემი უფლების მიხედვით. ვადა მიეცით 24 საათი, — ყვიროდა განრისხებული დირექტორი.

მაგრამ სასამართლომ „გაბედა“ და ერთ-ერთი გასასახლებელი მობინადრის მიმართ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა: „მოპასუხე შარაძე-ნიძე სიმონ ბესარიონის-ძე გამოსახლებულ იქნას საუწყებო სახლიდან მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაფერი, იმავე ფართობიანი ბინით იგი დაკმაყოფილებულ იქნება მაძიებელი ორგანიზაციის მიერ...“

ეს ყო 1948 წელს. ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლომ.

დირექტორის პოზიცია შეირყა. გასასახლებელი მობინადრეები გამხნევდნენ და საკითხის გასარკვევად ზემდგომ ორგანოებს მიმართეს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სამინისტრომ, რომელსაც ტექნიკუმი ექვემდებარება, კერძო მობინადრეებისაგან ტექნიკუმის ლაბორატორიის შენობის გასათავისუფლებლად გამოჰყო მნიშვნელოვანი თანხა — ნახევარ მილიონ მანეთამდე. სულ გადასაყვანი იყო ხუთი ოჯახი. ასე რომ ეს თანხა სავსებით საკმარისი იყო.

ტექნიკუმმა თანხა მიიღო და მობინადრეებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს.

თბილისელი მოქალაქეები, ვისაც მარჯანიშვილის ქუჩაზე № 31 სახლთან გაუვლია, დაინახავდნენ ხარაჩოებს ზედა სართულზე და გამალებულ მუშაობას. ამ სახლზე მთელი სართული დააშენა ტექნიკუმმა სამინისტროს მიერ მიცემული თანხით.

გულისფანცქალით მოელოდნენ მშენებლობის დამთავრებას ტექნიკუმის ლაბორატორიის საიდუმლოების მომიზეზებით გასასახლებელი მობინადრენი, რომლებიც არასაიმედო ელემენტად მონათლა დირექტორმა.

მშენებლობა დამთავრდა და რა მოხდა? მოხდა ის, რასაც მკითხველი ალბათ არ მოელის.

თუ აქამდე დირექტორი ვითომდა „საიდუმლოებას“ სდარაჯობდა და ყველას უნდობლობას უცხადებდა, ახლა თავისთავს გამოუცხადა უნდობლობა, თვით ჩაერიცხა გასასახლებელთა სიაში, მიატოვა ლაბორატორიაც, ტექნიკუმიც და პირველმა დაიკავა საუკეთესო ბინა 71 კვადრატული მეტრი ფართობით ახლად დაშენებულ სართულზე, როგორც „კერძო პირმა, რომელსაც კავშირი არა აქვს ტექნიკუმის საქმიანობასთან“.

— რაც გადამრჩა, გაანაწილეთო, — დაუბარებია ხელქვეითთათვის დირექტორს, დაუდვია დიდი ბოქლომი ახალ ბინაზე და, როდესაც გახურებული მისაღები გამოცდები იყო ტექნიკუმში, დასასვენებლად წასულა ბორჯომის ხეობაში.

„ბევრი ვეცადე თქვენთვის, ძლივს ვავაკეთე ჩემთვისო“, — ღიღინებს დირექტორი ბორჯომის წიწვიან ტყეში გაბმულ ჰამაკში მწოლარე. აქ კი მთელი ალიაქოთია ატეხილი.

ზოგს მუქარით ასახლებენ, ზოგისათვის სულ არ არის ბინა. გასახლებულთაგან თითქმის ყველა დაზარალებულია ბინის ფართობის ოდენობის მხრივ, ზოგის ბინას სამზარეულო არა აქვს, ზოგიც საბაზანაში შეუსახლებიათ.

დირექტორი კი ისვენებს ბორჯომის ხეობაში.

რა გაეწყობა! რაკი დირექტორმა თვითონვე ჩაირიცხა თავი „ტექნიკუმთან კავშირგაწყვეტილთა“ სიაში, იყოს ნება მისი. მხოლოდ გვეშველება, რომ შერჩეს ბინა, რომელიც ასე ყალთაბანდობით ჩაიგდო ხელში.

გერმან შუბიძე.

რედაქციის ფოსტიდან

„წვრილმანებზე“, რომლებიც ყურადღების ღირსია

ბევრი ითქვა და დაიწერა ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ცუდ მუშაობაზე. ჩვენ სულით და გულით მონდომებული ვართ უკეთ ვიმუშაოთ, გეგმებს ვასრულებდეთ და მოწინავეთა რიგებში ჩავდგეთ, მაგრამ ხელს ბევრი გარემოება გვიშლის.

მაგალითად, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შახტი ჩამორჩება, არის პროფკავშირული მუშაობის მოდუნება. იშვიათია ჩვენს შახტში ისეთი მუშა, რომელმაც იცოდეს, ვისთან არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში ან როგორი მაჩვენებელი მოიპოვა გუშინ, რამდენი პროცენტით შესრულა გეგმა. ეს იმას მოწმობს, რომ შახტში სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურად არის გაშლილი.

მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად შახტს თითქოს უკეთესად უნდა ემუშავნა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. პროფკავშირული ორგანიზაცია საკმაოდ არ ეხმარება მეშახტეებს მთელი რიგი საკითხების მოგვარებაში. მაგალითად, საგანრიგოში სპეცტანსაცმლის შენახვა მოუწესრიგებელია, სალაშქრე განყოფილება კეთილმოუწყობელია, ხშირად მუშებს თავის სპეციალობის მიხედვით არ იყენებენ. იტყვიან, ეს წვრილმანი საკითხებიაო, მაგრამ „წვრილმანებსაც“ ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან მათ მოწესრიგებაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მეშახტის შრომის ნაყოფიერება.

გ. მიქაბერიძე,
ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მეექვსე უბნის მნგრეველი.

ჰიანურდება საცხოვრის რეკონსტრუქცია

პრიმიტიულად არის მოწყობილი „საქვაჰრობის“ სამტრედიის განყოფილების პურის საცხობი. გადაწყვიტეს მისი რეკონსტრუქცია. ეს იყო 1951 წლის დამდეგს. ამავე წლის აპრილში პურის საცხობი „საქპურტრესტის“ განმგებლობაში გადავიდა. იგი ჯერ „საქპურტრესტის“ ქუთაისის, ხოლო შემდეგ მახარაძის (!) პურკომბინატს დაუქვემდებარეს. მოსალოდნელი იყო, რომ პურის საცხობის მუშაობა გაუმჯობესდებოდა. მაგრამ ასე როდი მოხდა. საცხობის რეკონსტრუქცია რატომღაც მიივიწყეს.

სახურავის უვარგისობის გამო საცხობში წვიმა ჩამოდის. კეთილმოუწყობელია ეზოც. ამჟამად 8 ღუმელიდან მხოლოდ 5 მუშაობს და ისიც შეფერხებით. ამიტომ აქ ყოველდღიურად 7-8 ათასი კილოგრამით ნაკლებ პურს აცხობენ, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული.

შენობის უვარგისობისა და საჭირო ინვენტარის (ვარცლები, ტაფები და სხვ.) უქონლობის გამო სანიტარიგიენური წესების დაცვა შეუძლებელი ხდება. ამასთან საცხობის მუშაკები ცუდ პირობებში მუშაობენ: მოწყობილი არ არის ვენტილატორები, შხაპები, მომუშავეებს სპეცტანსაცმელი არა აქვთ.

ყველაფერი ეს კარგად არის ცნობილი „საქპურტრესტის“ ხელმძღვანელებისათვის (დირექტორი ნ. ყიფიანი). მაგრამ პურის საცხობის მუშაობის მოსაწესრიგებლად არავითარ ზომებს არ იღებენ.

ი. ფრანგიშვილი,
სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგე.

რემონტის ნაცვლად...

თბილისში მილიციის ქუჩაზე № 12 სახლის წინ ამ რამდენიმე თვის წინათ დაყარეს გაჯი, კირი, ხის მასალა, აგური. აღნიშნული სახლი ავარიულია; მობინადრეებს გვეგონა, რომ ეს მასალები სარემონტოდ მოიტანეს, მაგრამ იმედი გაგვიცრუდა.

გარდა კირისა და გაჯისა სხვა საშენი მასალა მალე სადღაც გაქრა. ეს გაჯი და კირი კი ქუჩიდან ეზოში შემოიტანეს, მისი მტვერით ოთახები გვევსება, აღარც ავარიული სახლის რემონტი გაუკეთებიათ და ამ გამოუყენებელი გაჯისა და კირის ნარჩენის მტვრისგანაც შეწუხებული ვართ.

საინტერესოა რას ფიქრობს თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება?

დიასახლისი თ. დიასამიძე.

სურათზე: სცენა ვ. სოლოვიოვ-სედოის მუსიკალური კომედიის „ყველაზე სანუკვარის“ უკანასკნელი მოქმედებიდან.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში ერთ თვეზე მეტია გასტროლები აქვს ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრს. თბილისელი მაყურებელი გულთბილად ხვდება უკრაინის ძველი ქალაქიდან ჩამოსული სტუმრების სპექტაკლებს.

ლვოვის თეატრმა თბილისში ჩამოიტანა მრავალფეროვანი რეპერტუარი, რომელიც შედგება 14 მუსიკალური კომედიისაგან, აქედან 11 ეკუთვნის საბჭოთა ავტორებს. რეპერტუარი განსაზღვრავს თეატრის მხატვრულ სახეს, მის იდეურ მისწრაფებებს. ლვოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას დასახურებად უნდა ჩაეთვალოს, რომ რეპერტუარის შერჩევაში იგი ძირითადად გეზს იღებს საბჭოთა კომედიებზე.

როგორც იდეური, ისე მხატვრული თვალსაზრისით ყოველნაირა ქების ღირსია, რომ რეპერტუარში შეტანილია ვ. სოლოვიოვ-სედოის კომედია „ყველაზე სანუკვარი“ და ი. დუნაევსკის „ლაღი ქარი“. სწორედ ამ ორ სპექტაკლში ყველაზე მეტი სასრულით გამოჩნდა ლვოვის თეატრის რეჟისურისა და მის მსახიობთა შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

ვ. სოლოვიოვ-სედოის მუსიკალური კომედია „ყველაზე სანუკვარი“ დაწერილია იუმორისტული ამბების გამოჩენილი საბჭოთა ავტორების ვლ. მასისა და მ. ჩერვინსკის ტექსტზე. მისი მოქმედება წარმოებს ჩვენს დროს, მოსკოვის მახლობელ ერთ-ერთ კოლმეურნეობაში, რომელსაც „ყველაზე სანუკვარი“ ეწოდება. ამ კოლმეურნეობის ყველა წევრი ლაღად ცხოვრობს, ისინი გულში ატარებენ „ყველაზე სანუკვარ“ ოცნებას — მთელი ძალღონე და ცოდნა მოახმარონ საყვარელი კოლმეურნეობის ზრდასა და აყვავებას.

კომედიის სიუჟეტური ხაზი ორი მიმართულებით მიდის. ძირითადი კონფლიქტი ისახება ორი ახალგაზრდის — პაველს და ნასტიას ურთიერთობაში.

მტს-ის კომბაინერს, კოლმეურნეობის აქტიურ წევრს, ნიჭიერ მუშაკ პაველს საკმაო ტექნიკური ცოდნა არა აქვს. იგი გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ თავისი მუშაობის მაღალი მაჩვენებლების პირობებში მას ეს ცოდნა არც ესაჭიროება. პავლე არათუ არ ფიქრობს უმაღლესი განათლების მიღებაზე, არამედ დაჟინებითაც მოითხოვს, რომ მისმა საცოლემ, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მაკაროვას ქალიშვილმა, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ნასტიამ უმაღლესი სასწავლებელი მიატოვოს, გაჰყვეს მას და კოლმეურნეობაში დარჩეს. პავლეს გადაწყვეტილებას მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ თვითონ ნასტია, დედამისი და ყველა მახლობელი. მათი გავლენით პავლე გარდაიქმნება — იგი გადაჭარბებით აღარ აფასებს თავის ძალებს, აღარ ყოყოჩობს, თწყებს ბეჯით მუშაობას თავისი ცოდნის სრულყოფისათვის.

პარალელური თემა ვითარდება ყოფილი კოლმეურნის, კოლექტივიდან განდევნილი ზარმაცის კლიაკუშევის გარშემო. მორალურად მერყევი, უქნარა, იგი მიისწრაფვის იოლი ცხოვრებისაკენ, ეძებს ცოლს — მაგრამ აუცილებლად სოციალისტური შრომის გმირს. კოლმეურნეობის წევრები, სასაცილოდ რომ აიგდონ, დიასახლისად იღებენ მას თავიანთ დასასვენებელ სახლში.

რეჟისორი ბ. პიკოვსკი არ გამოსდევნია საყოფაცხოვრებო დეტალებს და ქმნის ნათელ, ხალისიან სპექტაკლს, რომელშიც მაყურებლების თვალწინ გადაიშლება საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელთა ცხოვრება ისე, როგორც მას სინამდვილეში ვიცნობთ. სპექტაკლი გამსჭვალულია მხიარულებითა და სიცილით. მისი იდეური ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ რეჟისორმა და შემსრულებლებმა შეაძლეს სიცილის მეშვეობით ეჩვენებინათ სერიოზული — მართლად გადაეშალად მაყურებლის წინაშე ისეთი დიდი თემები, როგორიც არის: სამშობლოსადმი საბჭოთა ადამიანების სიყვარული, საზოგადოებრივი ინტერესების გამარჯვება პირად ინტერესებზე, შემჭიდროებული კოლექტივის ძალა, გარემოს გავლენა ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე, მოწინავე საბჭოთა ადამიანების ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთებთან.

ოპერეტა „ყველაზე სანუკვარში“ არ არის ეგრეთწოდებული „პირველი“ როლები, მაგრამ თვითეული მათგანი წარმოადგენს აუცილებელ რგოლს მისი იდეის გახსნისათვის, მსახიობები თამაშობენ გულწრფელად, მსუბუქად და მათს სახეებს მაყურებლები ხვდებიან როგორც დიდი ხნის ნაცნობს და მახლობელს.

დიდი შინაგანი გრძნობით არის გამთბარი მსახიობ ნ. ბუხარინას შესრულებით ჭკვიანი, ენერგიული საბჭოთა მშრომელი ქალის, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაკაროვას სახე. კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის იგნატ გრიგორიევიჩის შეუფერადებელ სახეს იძლევა მსახიობი ნ. კოჩკინი. დიდი მამხილებელი ძალით გვიჩვენებს თავისი გმირის სახეს ე. ლიბერიო. მის მიერ შექმნილი სახე ცხოვრებისაგან ჩამორჩენილი კლიაკუშევისა ყველაზე მკაფიოდ უნდა იქნას მიჩნეული თბილისში ნაჩვენები სახეებიდან.

ასევე დეტალურად დამუშავებულია ახალგაზრდობის როლები. ჩვენ ვხედავთ მშვენიერ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებმაც განახორციელეს თავიანთი ოცნება — სამშობლოსადმი სამსახურს მოახმარონ თავიანთი ახალგაზრდა ძალები. ასეთები არიან: მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჭკვიანი, ენერგიული სტუდენტი ნასტია (მსახიობი ზ. დეგტიარევა), მისი ამხანაგი, ახალგაზრდა ექიმი ვერა (მსახიობი ე. ლიაშენკო), საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის გონგბამახვილი სტუდენტი, მომავალი დიპლომატი მიშა (მსახიობი ლ. სტენპკოვსკი), წარჩინებული კოლმეურნე, ტრაქტორისტი ვასია, განათლების განსაგრძობად მანქანათსამშენებლო ინსტიტუტში შესული (მსახიობი მ. ვოდიანოი), მხიარული, მტკიცე ზინა, სკოლის კურსის ახლად დამთავრებული და ქმიიურ ინსტიტუტში მიღებული (მსახიობი მ. დიომინა).

ისინი ყველანი მთელი მკერდით სუნთქავენ, ბედნიერი არიან ძალის სიჭარბისაგან და მღერიან ისე, როგორც მღერის ყოველი ადამიანი, როცა უხარია... და მათი სიმღერა თითქოს ოპერეტაში აუცილებელი „ვოკალური ნომერი“ კი არ არის, არამედ მათი სიხარულის გამოხატულებაა.

ი. დუნაევსკის მუსიკალური კომედია „ლაღი ქარი“ მოგვითხრობს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა მზარდ აქტივობაზე ომის ამერიკელ გამჩაღებლებთან ბრძოლაში. მუსიკალური კომედია დადგმულია რეჟისორ ი. გრინშპუნის მიერ, მისი ნამუშევარი განირჩევა კომედიის იდეური შინაარსის სწორი გაგებით, ძირითადი სიუჟეტური ხაზის ლოგიკური მიმდინარეობით და, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია ოპერეტაში, ორგანული გადასვლებით სასაუბრო სცენებიდან ვოკალურ და საცეკვაო ეპიზოდებზე, რომლებიც ერთიან მთლიანობას შეადგენენ. გარდა იმ მსახიობებისა, რომლებიც მონაწილეობენ კომედიაში „ყველაზე სანუკვარი“, „ლაღ ქარში“ ძალიან კარგად გამოჩნდნენ მსახიობები ი. დინოვი და ე. დემბსკაია.

ახალგაზრდა მომღერალი ი. დინოვი გვიხატავს მატროს ივანკოს — ხალხის ბედნიერებისათვის მამაცი მებრძოლის პარტიზანთა წინამძღოლის სტეფანე ჩერისმგებლის მომხიბლავ სახეს. მსახიობს კარგი ვოკალური და სცენიური მონაცემები აქვს.

დიდი ემოციური აღმავლობით ასრულებს ე. დემბსკაია იანკოს საცოლის უბრალო ქალიშვილ სტელას როლს. მისი სასიამოვნო ტემბრის სოპრანო ლამაზად ღღერს.

უცხოეთის ოპერეტა წარმოდგენილია ჟ. ოფენბახისა და ე. კალმანის სახელებით.

„ჟიუსტინა ფავარი“ ფრანგული ოპერეტის კლასიკოსის ჟ. ოფენბახის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს არ ეკუთვნის. ლვოვის თეატრის სცენაზე „ჟიუსტინა ფავარი“ დადგმულია რეჟისორ ბ. პიკოვსკის მიერ, გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ლ. ფაილენბოგენს. ვერც რეჟისორის საინტერესო ნამუშევარმა, ვერც ფერადოვანმა გაფორმებამ, ვერც მეტწილ შემსრულებელთა აქტიორულმა წარმატებამ ვერ შესძინა სპექტაკლს ის სიმსუბუქე და სიცხოველე, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია ფრანგული კომედიისათვის.

ე. კალმანის „მონმარტრის ია“ დადგმულია მ. იანკოვსკის ახალი, სატირულად მახვილი ტექსტით. ეს მუსიკალური კომედია, რომელიც ბევრ რამეში ჰგავს ჯ. პუჩინის ოპერა „ბოჰემას“, მოგვითხრობს ნიჭიერ ფრანგ ხელოვან ახალგაზრდობაზე, რომელიც გაუმძღარ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განწირულია ნახევრადმშიერი არსებობისათვის. მხატვარ რაულისადმი „მონმარტრის იის“—ქუჩის მომღერალ ვიოლეტას სიყვარულის მაგალითით ავტორები გვიჩვენებენ გულწრფელი, მოუსყიდველი გრძნობის გამარჯვებას ეგოისტურ მისწრაფებებზე, რომელთა მატარებელია საოპერეტო მომღერალი ნინონი.

„მონმარტრის ია“ ჩინებული ანსამბლით მიდის და ამ მხრივ შეიძლება ლვოვის თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლად ჩაითვალოს. მაგრამ მას ფრიად არსებითი ნაკლი აქვს. დამდგმელ ი. გრინშპუნს რეჟისორულ გაგებაში აქცენტი გადააქვს მიამიტი ვიოლეტას სახიდან ანგარებისმოყვარე ნინელზე. ამ უკანასკნელისათვის რეჟისორს გამოუნახავს მოხდენილი მიზანსცენები, ნიჭიერ მხატვარ ფ. ნიროდს ეფექტიანად გაუფორმებია მისი სცენები, შერჩეულია კოსტიუმების ფერადოვანი გამმა. ყოველივე ეს ერთად აღებული უკანა პლანზე სწევს ვიოლეტას. ამით მახინჯდება ნაწარმოების იდეა — გამარჯვებული გამოდის მანკიერება.

ლვოვის თეატრის დასი სამი თაობის აქტიორებისაგან შედგება. თეატრის მხატვრული ხელმძღვანელობა სწორად იქცევა, უფროსი თაობის მსახიობებთან ერთად წამყვან როლებს ახალგაზრდობას რომ ანდობს. მართალია ამ უკანასკნელთა შორის არ არიან დიდი დიაპაზონის ხმის მქონე მომღერლები, მაგრამ ისინი აღზრდილი არიან საბჭოთა თეატრის რეალისტურ ტრადიციებზე და გვიჩვენებენ გრძნობის უშუალობას, იმის უნარს, რომ ცხადყონ თავიანთი დამოკიდებულება შესასრულებელი სახისადმი — უყვარდეთ იგი იმისათვის, რაც კარგი აქვს, დასცინონ იმისათვის, რაც ცუდია. ამაშია მათი შესრულების ბომხიბლაობა, რის გამო მაყურებელი ხშირად ყურადღებას აღარ აქცევს ერთგვარ სცენიურ გამოუცდელობას. ახალგაზრდობის ჯგუფში თავი გამოიჩინეს ნიჭიერმა მსახიობებმა ი. დინოვმა, მ. ვოდიანოიმ, მ. დიომინამ, ზ. დეგტიარევამ; უფროსი თაობიდან — მსახიობმა ე. დემბსკაიამ, რომელიც ძირითადი გმირი ქალების როლებს ასრულებს, მახვილი გროტესკის ოსტატებმა ნ. ბუხარინამ, ნ. კოჩკინმა და ე. ლიბერომ. სამ შესრულებულ პარტიაში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე მსახიობმა ლ. დერჟავინამ.

ლვოვის თეატრის სპექტაკლები ყოველთვის კარგად გაფორმებულია ნიჭიერი მხატვრების ლ. ფაილენბოგენის, გ. ნეფედოვისა და ფ. ნიროდის მიერ.

გამოცდილი დირიჟორი ჩანს კლ. ბენეი.

ასეთია მოკლედ ჩვენი შთაბეჭდილებანი ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლებისაგან. ეს თეატრი თავისი შემოქმედებითი მუშაობის სტაჟით ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა. ახალგაზრდები არიან მსახიობებიც, რომლებიც შემსრულებელთა ძირითად ჯგუფს შეადგენენ. ახალგაზრდობა კი ყოველთვის ყველაზე ქმედითი ძალაა ხელოვნებისა, და ეს არის ლვოვის თეატრის შემდგომი ზრდის საწინდარი.

ლ. მარკოზოვი.

რასობრივი დისკრიმინაციის სამხრეთ აფრიკის ბოროტმოქმედება

ამას წინათ დანიაში დაბრუნდა ოლუფ ლარსენი, მსხვილი მეწარმე და სპეკულანტი, რომელიც 42 წელიწადს ცხოვრობდა სამხრეთ აფრიკაში. გაზეთ „ოლბორგ სტიფტსტიდენდის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ლარსენმა განაცხადა: „ყველა რასის თანასწორუფლებიანობის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ერთადერთი განსხვავება შავ და თეთრკანიანებს შორის არის კანის ფერი. ეს არ არის სწორი... უნდა გავიდეს 15 ათასი წელი მანამდე, სანამ ფერადკანიანები შეძლებენ მიაღწიონ იმ დონეს, რომელზეც ამჟამად ევროპელები იმყოფებიან“.

შემდეგ ამ მოურჯულებელმა რასისტმა ხოტბა შეასხა სამხრეთ აფრიკის კავშირის პრემიერ-მინისტრის მალანის ფაშისტურ მოღვაწეობას და მოიწონა ამ ქვეყანაში განხორციელებული რასობრივი დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის პოლიტიკა.

ეს არც გასაკვირველია. იმპერიალისტების სათარეშო კუთხედ გადაქცეული სამხრეთ აფრიკის კავშირიდან მილიონობით გირვანქა სტერლინგის მოგებას ქაჩავენ ოლუფ ლარსენის მსგავსი საქმოსნები, რომლებსაც მალანის ფაშისტური მთავრობა ყოველნაირად ეხმარება აფრიკელი ხალხის ძარცვაში.

აფრიკის ფერადკანიანი მოსახლეობა კოლონიზატორებისაგან საშინელ ჩაგვრისა და დევნას განიცდის. აუტანელი უუფლებობა და არსებობის არაადამიანური პირობები, საკატორღო სამუშაოები და ქრონიკული შიმშილი, საპყრობილე და სიკვდილით დასჯა „ურჩობის“ ყოველგვარი გამოვლინებისათვის — აი რა მოაქვთ აფრიკის მშვიდობიანი მცხოვრებლებისათვის კაპიტალისტურ მონოპოლიებსა და მათ დაქირავებულ აგენტებს.

სამხრეთ აფრიკის კავშირის კანონმდებლობა რასობრივი სულით არის გაჟღენთილი. ჯერ კიდევ 1949 წელს მალანის ნაციონალისტურმა პარტიამ თავის ყრილობაზე ტრანსვაალში გამოიტანა დადგენილება თეთრკანიანებისა და შავკანიანების ერთმანეთისაგან განცალკევების შესახებ. ამ სისხლიანი დოკუმენტის მიხედვით სასამართლოებში თეთრკანიანი და შავკანიანი მოწმეებისათვის სხვადასხვა სკამები უნდა იყოს გამოყოფილი. ზანგები, რომლებიც შებინდებისას აღმოჩნდებიან თეთრკანიანთა სახლების ახლოს, სასტიკად დაისჯებიან, თეთრკანიანებისა და შავკანიანებისათვის უნდა არსებობდეს სხვადასხვა ტელეფონები, ზანგ ბავშვებს სკოლებში ერთმანეთი არ უნდა მიეცეთ, თეთრკანიან ექიმს უფლება არა აქვს დახმარება აღმოუჩინოს ზანგ ავადმყოფს და ა. შ. სულ 1950 წლიდან დღემდე სამხრეთ აფრიკის კავშირში გამოცემულ იქნა 103 ასეთი რასობრივი კანონი, რომელთა მახვილი მიმართულია აფრიკის შავკანიანი მოსახლეობის დამონებისა და ექსპლოატაციისაკენ.

სამხრეთ აფრიკის დამუშავებული მიწის 0,9 თეთრკანიან დამპყრობლების ხელშია, მაშინ, როცა ამავე მიწის მხოლოდ 0,1 ეკუთვნის ზანგ მოსახლეობას. თეთრკანიანთა წილი სულ უფრო იზრდება იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მათ ნოყიერი მიწიდან ზანგების გარეკვის უფლებას აძლევს. ზანგები გადაჰყავთ ერთი რაიონიდან მეორეში, ასახლებენ ჭაობიან ან ხრიოკ ადგილებზე.

სამხრეთ აფრიკის კოლონიზატორებმა ადგილობრივი მოსახლეობის აბუჩად აგდებასა და გაჩანაგებაში თავიანთ წინაპრებსაც კი გადაჭარბეს. ზანგებს აკრძალული აქვთ ცხოვრება სამხრეთ აფრიკის კავშირის ოცდაერთ ქალაქში, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც მათ ასე თუ ისე ცხოვრების უფლება აქვთ, ისინი მოთავსებული არიან გეტოებში ანუ ლოკაციებში. ასეთი ლოკაციების რიცხვი სამხრეთ აფრიკაში 240-ს აღწევს. ზანგები აქ მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობენ — არ აქვთ წყალი, კანალიზაცია, წლობით დაგროვილი ნაგვის გორებს შორის ძველი ყუთებისა და ტომრებისაგან გაკეთებულ ქოხმახებში მთელი ოჯახები არიან თავშეფარებულნი. შიმშილის, აუტანელი შრომის გამო და სამედიცინო დახმარების უქონლობის მიზეზით ზანგ მოსახლეობაში წლითიწლობით მატულობს სიკვდილიანობა.

ზანგებს სამხრეთ აფრიკის კავშირში თეთრკანიანებთან შედარებით 10-12-ჯერ ნაკლები ხელფასი ეძლევათ, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ისინი ასრულებენ ყველაზე მძიმე და სახიფათო სამუშაოებს. მათ აკრძალული აქვთ კვალიფიციური შრომა, აკრძალული აქვთ მთავრობის უნებართვოდ სამუშაოს ან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. როგორც ინგლისური გაზეთი „ობსერვერი“ იუწყება, სამხრეთ აფრიკის კავშირში ზანგებისათვის 22 სხვადასხვა სახის საშვი არსებობს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რა უკიდურესობამდეა შეზღუდული ფერადკანიანი მოსახლეობის უფლებები.

ზანგი მოსახლეობის პოლიტიკური უუფლებობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ამას წინათ ჩატარებული არჩევნები. ამ არჩევნების დროს ხმა მისცა მილიონნახევარმა თეთრკანიანმა და მხოლოდ 47 ათასმა ზანგმა, მაშინ, როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ზანგებია. იმ ზანგებმაც კი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში, შემდეგ სასტიკი რეპრესიები განიცადეს.

რაც დრო გადის, კოლონიზატორებს სულ უფრო ეცლებათ ფეხქვეშ ნიადაგი აფრიკაში. შავი კონტინენტი იღვიძებს. ფართოდ ჩაღღება ზანგთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბრძოლა დემოკრატიული უფლებებისათვის, ცხოვრების ადამიანური პირობებისათვის, მშვიდობისათვის.

1952 წლის 26 ივლისს დაიწყო ე. წ. „დაუმორჩილებლობის“ კამპანია. ამ კამპანიით ზანგი მოსახლეობა დაიკავა კოლონიზატორების მიერ ფეხქვეშ გათელილი თავისი ადამიან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკდესი). გუშინდილის სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა კორეის საკითხზე იმ რეზოლუციათა პროექტების განხილვას, რომლებიც შეტანილია კომიტეტის განსახილველად.

კომიტეტს წარედგინა სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით 15 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი, პროექტი რეზოლუციისა კონფერენციაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ, რომელიც შეიტანეს ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, დანიისა და ნორვეგიის დელეგაციებმა, ინგლისის, ავსტრალიის, კანადისა და ახალი ზელანდიის დელეგაციათა რეზოლუციის პროექტი კონფერენციაში ინდოეთის მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და ლიბერიის რეზოლუციის პროექტი იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა აცნობოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს გენერალური ასამბლეის წინადადებანი და სხდომების ოქმები განსახილველ საკითხზე და წარუდგინოს ასამბლეას სათანადო მოხსენება ამ საკითხზე.

სსრ კავშირის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი ემყარება პრინციპს, რომ პოლიტიკური კონფერენცია მოწვეულ იქნას მრგვალი მაგიდის მსგავსად და ითვალისწინებს, რომ კორეაში წარმოებული ომის მონაწილეებთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობა მიიღონ კორეის პრობლემისა და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის საკითხის წარმატებით გადაწყვეტით დაინტერესებულმა ნეიტრალურმა ქვეყნებმა. გაითვალისწინა რა მრავალი დელეგაციის სურვილი, სსრ კავშირის დელეგაციამ თავისი პროექტის თავდასაბამზე ტექსტში შეიტანა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს, რომ კორეის საკითხთა კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობაში შეყვანილ იქნან კიდევ მთელი რიგი ნეიტრალური ქვეყნები.

15 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი მარტო კორეაში წარმოებული ომის მონაწილეებით ფარგლავს კონფერენციის შემადგენლობას.

სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა შესწორება 15 ქვეყნის რეზოლუციის პროექტისადმი. ამ შესწორებაში ნათქვამია: „პოლიტიკური კონფერენციის წარმატებითი მუშაობისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველსაყოფად კორეის საკითხთა პოლიტიკური კონფერენცია მოწვეულ უნდა იქნას შემდეგი შემადგენლობით: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები კავშირი, ჩინეთი, სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, სამხრეთი კორეა, ინდონეზია, სირია, ეგიპტე, მექსიკა და ბირმა. ამასთან იგულისხმება, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი მიღებულად ჩაითვლება დაზავებაზე შეთანხმების ხელმომწერ მხარეთა თანხმობის დროს“.

სსრ კავშირის დელეგაციამ წინადადება შეიტანა აგრეთვე ამოღებულ იქნას კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სსრ კავშირის მიწვევის შესახებ ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, დანიისა და ნორვეგიის რეზოლუციის პროექტიდან შენიშვნა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მიწვეულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოისურვებს „მეორე მხარე“.

პერუს დელეგატმა ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და ლიბერიის რეზოლუციის პროექტში შეიტანა შესწორება, რომელიც მოითხოვს ხსენებულ რეზოლუციის პროექტიდან ამოღებულ იქნას ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გენერალურ ასამბლეას უნდა წარუდგინოს მოხსენება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებისაგან პასუხის მიღების შემდეგ. შეეცადა რა დაესაბუთებინა თავისი შესწორება, პერუს. დელეგატმა მოურიდებლად მოითხოვა, რომ პირდაპირ გადაგზავნოს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს. იგი ამის წინაღმდეგი იყო, რომ რაიმე სახით შეეთანხმებინათ გადაწყვეტილებანი პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან.

რეზოლუციათა პროექტების განხილვის დროს გამოვიდნენ ეგიპტის, სირიისა და ინდონეზიის დელეგატები, რომლებმაც მადლობა უძღვნეს საბჭოთა დელეგაციას იმ ნდობისათვის, რაც მან ამ ქვეყნებს გამოუცხადა, როცა რეზოლუციის თავის პროექტში დაასახელა ისინი პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეებად. მათ განაცხადეს, რომ მონაწილეობას მიიღებენ პოლიტიკური კონფერენციის მუშაობაში, თუ გენერალური ასამბლეა მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას. ერაყის წარმომადგენელმაც მადლობა უძღვნა საბჭოთა დელეგაციას იმისათვის, რომ საბჭოთა დელეგაციამ დაასახელა პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა კანდიდატებად სირია, ინდოეთი, ინდონეზია და არაბთა და აზიის ქვეყნების სხვა „მახლობელი მეგობრები“. ერაყის დელეგატმა განაცხადა, რომ ერაყის დელეგაცია აპირებდა სსრ კავშირის რეზოლუციის თავდაპირველი პროექტის წინააღმდეგ მიეცა ხმა და თქვა, რომ მისი დელეგაცია თავს შეიკავებს საბჭოთა რეზოლუციის შეცვლილი პროექტისათვის კენჭისყრის დროს, პროექტისა, რომელიც ითვალისწინებს კონფერენციის მონაწილეთა გაფართოებულ შემადგენლობას არაბთა და აზიის ქვეყნების შეყვანით.

პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა რეზოლუციის პროექტს და განაცხადეს, რომ ისინი ხმას მისცემენ შეერთებული შტატების მეთაურობით სახელმწიფოთა ჯგუფის პროექტის წინააღმდეგ.

პოლონეთის დელეგაციის მეთაური ნაშკოვსკი შეუერთდა საბჭოთა რეზოლუციის პროექტს და დელეგატების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ თავის განცხადებაში მხარი დაუჭირა ამ პროექტს.

პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს აგრეთვე საბჭოთა დელეგაციის შესწორებას 15 ქვეყნის რეზოლუციის პროექტისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს სსრ კავშირის რეზოლუციის შეცვლილი პროექტის და 15 ქვეყნის რეზოლუციის პროექტისადმი საბჭოთა დელეგაციის შესწორების წინააღმდეგ. ინგლისის დელეგატმა ჯენკმა, დაამახინჯა რა საბჭოთა წინადადებების აზრი და არსი, განაცხადა, რომ ისინი თითქოს წარმოადგენენ რაღაც „დიფერსიულ ცდას“ საბჭოთა დელეგაციის მხრივ. ამავე დროს მან ვერაფრით ვერ დაასაბუთა ასეთი მტკიცება. ჯენკის გამოსვლისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ცდილობდა მხარი დაეჭირა იმ პოზიციისთვისაც, რომელიც ინგლისის დელეგაციამ დაიკავა საკითხის განხილვის დასაწყისში, როცა დაჟინებით მოითხოვდა „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციის მოწვევას, და ინგლისის დელეგაციის, როგორც 15 ქვეყნის იმ რეზოლუციის პროექტის თანაავტორის პოზიციისთვისაც, რომელიც კონფერენციის მონაწილეთა რიცხვს ფარგლავს მხოლოდ იმ ქვეყნებით, რომელთა ჯარებიც მონაწილეობდნენ კორეის ომში.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა განაგრძო ამერიკის დელეგაციის პოზიციის დაცვა „ორი მხარის“ კონფერენციის მოწვევის შესახებ და არადამჯერებელი არგუმენტაციით ცდილობდა დაემახინჯებინა კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის შესახებ საბჭოთა წინადადებების აზრი.

დღევანდელ სხდომაზე გამოსული დელეგატების დიდმა უმრავლესობამ, მათ შორის ლიბერიის, გვატემალის და იუგოსლავიის დელეგატებმა მხარი დაუჭირეს რეზოლუციის პროექტს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი და ინდოეთი მოწვეულ იქნან პოლიტიკური კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ინდონეზიისა და ლიბერიის წარმომადგენლებმა, რომელთაც მხარი დაუჭირეს მთელმა რიგმა სხვა დელეგაციებმა, გაილაშქრეს ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და ლიბერიის ერთობლივი პროექტისადმი პერუს შესწორების წინააღმდეგ.

სხდომის დასასრულს გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა დაწვრილებით გაუკეთა ანალიზი რეზოლუციის განსახილველ პროექტებზე სხვადასხვა დელეგაციის გამოსვლის და დასაბუთებული სიტყვით ცხადყო როგორც 15 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის, ისე საბჭოთა წინადადებების საწინააღმდეგო ყველა მოსაზრების მთელი უსაფუძვლობა.

გააკრიტიკა რა ამერიკის დელეგატის პოზიცია, ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის წინადადებანი ემყარებიან იმას, რომ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ კორეის მონაწილეობა კონფერენციაში სავალდებულოა. საბჭოთა დელეგაცია, თქვა მან, არ უარყოფს, რომ სამხრეთ კორეას უფლება აქვს იყოს კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე, რადგან მისი მონაწილეობა საჭიროა კონფერენციაზე გადაწყვეტილებათა მისაღებად. საბჭოთა კავშირის პოზიცია, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, იმ პრინციპით განისაზღვრება, რომ თვითონ კორეელებმა უნდა გადაწყვიტონ თავიანთი საშინაო საქმეები, მაშასადამე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ კორეის თანხმობის უქონლად კონფერენცია გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს.

გადაჭრით გაილაშქრა რა ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და ლიბერიის რეზოლუციის პროექტის შესახებ პერუელის შესწორების წინააღმდეგ, რომელსაც მხარი დაუჭირა ამერიკელმა დელეგატმა, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ეს დაახასიათა როგორც ამერიკის დელეგაციის ცდა თავს მოახვიოს გენერალურ ასამბლეას ისეთი პირობები, რომელთა დროსაც გენერალურმა ასამბლეამ არ უნდა გაუწიოს ინგარიში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის აზრს პოლიტიკური კონფერენციის შემადგენლობის საკითხში.

დეტალური ანალიზი გაუკეთა რა საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებებს, ა. ი. ვიშინსკიმ ცხადყო, რომ ეს წინადადებანი უზრუნველყოფენ კონფერენციის სწორ შემადგენლობას, გამორიცხავენ მის ცალმხრივობას და ემყარებიან რა თანამშრომლობის, მოლაპარაკების გზით ყველა სადავო საკითხის შეთანხმების პრინციპს, უზრუნველყოფენ, რომ მოწვეულ იქნას ნამდვილი საერთაშორისო პოლიტიკური კონფერენცია, რომელსაც შეეძლება წარმატებით გადაჭრას კორეის პრობლემა.

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკდესი). დღეს დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა განაახლა კორეის შესახებ პოლიტიკური კონფერენციის საკითხის განხილვა. მთელმა რიგმა დელეგატებმა გააკეთეს მოკლე განცხადებანი კომიტეტისადმი წარდგენილი სხვადასხვა წინადადების გამო.

შემდეგ კომიტეტი შეუდგა კენჭისყრას. თავმჯდომარემ მუნზმა წინადადება შეიტანა — კენჭი ეყაროს 15-ის რეზოლუციას, რომელიც კონფერენციის ფარგლავს კორეაში საომარი მოქმედების მონაწილე ქვეყნებით. საუდის არაბეთისა და ლიბანის წარმომადგენლებმა აზრი გამოთქვეს, რომ ჯერ კენჭი ეყაროს რეზოლუციის კონფერენციაში ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ ეს წინადადება არ მიიღო.

პოლიტიკურმა კომიტეტმა მოიწონა 15 ქვეყნის რეზოლუციის პირველი ოთხი პარაგრაფი და კენჭი უყარა რეზოლუციის მეხუთე პარაგრაფის საბჭოთა შესწორებას. ამ შესწორებამ მიიღო 5 ხმა. წინააღმდეგ 41 ხმა და 13 დელეგატმა თავი შეიკავა. ინდოეთის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

მთლიანად 15 სახელმწიფოს რეზოლუციამ მიიღო 42 ხმა, წინააღმდეგ — 5 და 12 დელეგატმა თავი შეიკავა. ინდოეთს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

ამის შემდეგ პოლიტიკურმა კომიტეტმა 55 ხმით მოიწონა რეზოლუცია პილიტიკურ კონფერენციაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ. ამ რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცა 2 დელეგატმა და 2 დელეგატმა თავი შეიკავა. კომიტეტმა უარყო ამ რეზოლუციის საბჭოთა შესწორებანი.

შემდეგ კენჭის საყრელად დაისვა რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკურ კონფერენციაში ინდოეთის მონაწილეობას. ამ რეზოლუციას მისცეს 27 ხმა, წინააღმდეგ — 21 ხმა და 11 დელეგატმა თავი შეიკავა. ინდოეთს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. პოლიტიკურ კონფერენციაში ინდოეთის მონაწილეობას ხმა მისცეს ავღანეთმა, ავსტრალიამ, ბირმამ, ბელორუსიის სსრ, კანადამ, ჩეხოსლოვაკიამ, დანიამ, ეგვიპტემ, ეთიოპიამ, გვატემალამ, ინდონეზიამ, ირანმა, ერაყმა, ლიბანმა, ლიბერიამ, მექსიკამ, ახალმა ზელანდიამ, ნორვეგიამ, პოლონეთმა, საუდის არაბეთმა, შვეიცარამ, სირიამ, უკრაინის სსრ, სსრ კავშირმა, შეერთებულ მა სამეფომ, იემენმა და იუგოსლავიამ. თავი შეიკავეს არგენტინამ, ბელგიამ, საფრანგეთმა, ისლანდიამ, ისრაელმა, ლუქსემბურგმა, ჰოლანდიამ, ფილიპინებმა, ტაილანდმა, თურქეთმა, სამხრეთ აფრიკის კავშირმა.

შემდეგ კენჭი უყარეს საბჭოთა რეზოლუციას; მის წინააღმდეგ მისცეს 41 ხმა, სსარგებლოდ — 5 ხმა და 13 დელეგატმა თავი შეიკავა.

ამის შემდეგ პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო ბირმის, ინდოეთის, ინდონეზიისა და ლიბერიის შეტანილი რეზოლუცია, რომელიც შეიცავს ინდოეთის შესწორებას; ეს რეზოლუცია „წინადადებას აძლევს გენერალურ მდივანს წინადადებანი კორეის საკითხზე. რომლებიც მეშვიდე სესიის მესამე ნაწილში წარმოადგინეს და რომლებიც მის მიერ რეკომენდებულია აღნიშნულ საკითხზე გენერალური ასამბლეის მუშაობის ოქმებთან ერთად ეცნობოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, და წარმოადგინოს მოხსენება, თუ საჭიროდ იქნა მიჩნეული“.

ინდოეთის შესწორებაში გათვალისწინებული იყო იმ დებულების ამოშლა, რომ გენერალურმა მდივანმა მოხსენება უნდა წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას შედეგების შესახებ. ამ რეზოლუციას მისცეს 54 ხმა, წინააღმდეგ — 4 ხმა და ორმა თავი შეიკავა.

კენჭისყრის შემდეგ კომიტეტმა მოისმინა განცხადებანი მთელი რიგი დელეგატებისა, რომლებმაც განმარტეს თავიანთი ხმის მიცემის მოტივები. კერძოდ, მექსიკის წარმომადგენელმა კვლავ გამოთქვა ეჭვი 15 ქვეყნის რეზოლუციის ეფექტიანობის შესახებ. ბირმის წარმომადგენელმაც გამოთქვა აზრი, რომ წარმატების მაქსიმალური შანსის უზრუნველსაყოფად საკითხის განხილვაში სასურველია უფრო ფართო წარმომადგენლობა, ვიდრე 15 ქვეყნის რეზოლუციაშია გათვალისწინებული.

ამით დაიხურა კომიტეტის სხდომა.

გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა გაიმართება 28 აგვისტოს დილით.

საბჭოთა კავშირის დაუსაბუთებელი დაკავება იაპონიაში

შანხაი, 26 აგვისტო. (საკდესი). იაპონური პრესის ცნობით, იაპონიის საზღვაო დაცვამ დააკავა საბჭოთა კატერი და 4 კაცისაგან შემდგარი მისი ეკიპაჟი იმ საბაბით, თითქოს მან განზრახ დაარღვია იაპონიის წყლების საზღვარი.

როგორც აქ ცნობილი გახდა, დაკავებული საბჭოთა კატერი, რომელიც ეკუთვნის ალმოსავლეთ სახალინის სახელმწიფო თევზჭერის ტრესტს, 8 აგვისტოს ღამით წავიდა დაკარგული საბჭოთა თევზსაჭერი გემის საძებნად. არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით კატერის ეკიპაჟმა დაკარგა ორიენტაცია და დაკავებულ იქნა იაპონიის საზღვაო დაცვის მიერ.

ამ საკითხს შეეხო იაპონიის გენერალური პროკურორი სატო, რომელმაც, იაპონიის კოდოს სააგენტოს ცნობით, 22 აგვისტოს განაცხადა, არ არის საქმიო დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც იაპონიის წყლებში საბჭოთა კატერის განზრახ შემოსვლას ადასტურებდნენო.

მიუხედავად ამისა, იაპონიის ხელისუფალთ დღემდე არ მიუღიათ ღონისძიებანი საბჭოთა კატერისა და მისი ეკიპაჟის გასათავისუფლებლად და სრულიად უსაფუძვლოდ ჰყავთ დაპატიმრებული ეკიპაჟის წევრები.

სგუდენგმა III მსოფლიო კონგრესი

ვარშავა, 27 აგვისტო. (საკდესი). დღეს ვარშავაში გაიხსნა სტუდენტთა III მსოფლიო კონგრესი.

სრულ 12 საათზე დელეგატები, მეთვალყურეები და მრავალი სტუმარი იკრიბება ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უზარმაზარ დარბაზში, რომელიც მორთულია იმ ქვეყნების ეროვნული ალმებით, რომლებმაც კონგრესზე თავიანთი დელეგატები გამოგზავნეს, და შშვიდობის ცისფერი დროშებით.

სხდომათა დარბაზში არიან აგრეთვე მშვიდობისათვის მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეები, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ციარანკევიჩი და პოლონეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა ბერნარდ ბერეანუმ კონგრესის სხდომა გახსნა და კონგრესის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

პოლონეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის სახელით კონგრესზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ვარშავის რადა ნაროდოვას პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ეფი ალბრეხტმა, რომელმაც კონგრესის მონაწილეებს უსურვა წარმატება მუშაობაში და ყველა ქვეყნის სტუდენტთა ორგანიზაციებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრო თანამშრომლობის მიღწევა.

შემდეგ მოხდა კონგრესის პრეზიდიუმისა და სამანდატო კომისიის არჩევა. ამით დამთავრდა კონგრესის დილის სხდომა.

დასავლეთ ბერლინის მცხოვრებნი მიესალმებიან მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს

ბერლინი, 27 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის საგენტო იუწყება, რომ დასავლეთ ბერლინის მრავალი ათასი მცხოვრები მიესალმა დღეს საღამოს მიტინგებზე მოსკოვში სსრ კავშირის მთავრობასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკების შედეგებს. ამავე დროს ამ მიტინგებზე მათ პროტესტი გამოთქვეს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლის-ამერიკისა და ბონის ტერორისტული ორგანიზაციები ცდილობენ დასავლეთ ბერლინში დაიწყონ ახალი პროვოკაციები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბერლინის დემოკრატიული სექტორის წინააღმდეგ.

დასავლეთ ბერლინის სულ სხვადასხვა ნაწილში დღეს საღამოს ვრცელდებოდა ფურცლები, რომლებიც შეიცავენ გერმანიის ერთიანობის აღდგენის მოთხოვნას და მკვეთრ პროტესტს პროვოკაციების ცდების წინააღმდეგ.

ირანის ამბები

პარიზი, 27 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, თეირანის სამხედრო გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ აკრძალულია ორი დიდი საღამოს გაზეთი — „ეთელაათი“ და „ქეიხანი“, რომელთაც „მოსადიკის მთავრობისაღმი კეთილსასურველი პოზიცია“ ეკავთ.

ვიეტნამის სახალხო არმიის სამომარი მოქმედება

შანხაი, 27 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის ბიულეტენის ცნობით, რომელსაც პეკინში უშვებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდლობამ ამას წინათ გამოაქვეყნა კომუნიკე ჩრდილოეთ ვიეტნამში ამა წლის ივნისსა და ივლისში საომარი მოქმედების შესახებ.

არასრული ცნობების თანახმად, ამ პერიოდში მოწინააღმდეგემ დაკარგა 3 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 720 კაცი ტყვედ წაიყვანეს. სახალხო ჯარებმა ხელთ იგდეს და მოსპეს დიდძალი სამხედრო მასალა.

სახალხო ჯარებმა, რომლებიც ცენტრალურ და სამხრეთ ვიეტნამში მოქმედებენ, ჩრდილოეთ ვიეტნამში სახალხო არმიის ნაწილებთან თავიანთი მოქმედების კოორდინაციით აგრეთვე გააძლიერეს საბრძოლო მოქმედება.

ლერწმების ველში ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა ჩაშალეს ადგილების „გაჩხრეკის“ მტრის ორი ოპერაცია, ბაო-დაის არმიის 600 ჯარისკაცი ამ რაიონში, აგრეთვე რელიგიური სექტის „ხოა-ხაოს“ ასეული სახალხო ჯარების მხარეზე გადავიდა.

11 და 15 აგვისტოს ვიეტნამის სახალხო არმიის ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის 3 დიდი საგუშაგო ჩრდილოეთ ვიეტნამში: ტიენ-ტიენი, ვან-ტრი და ტუ-კი. სახალხო ჯარებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 400-ზე მეტი ჯარისკაცი, ტყვედ წაიყვანეს 80 კაცი და ხელთ იგდეს იარაღი და საომარი მასალა.

სპორტის ამბები

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

ლ. რუდენკო — ე. ბიკოვა

ლენინგრადში მიმდინარეობს შეჯიბრება ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე. მეოთხე პარტიამდე ანგარიში იყო 2:1 ლ. რუდენკოს სასარგებლოდ. მეოთხე პარტიაში ე. ბიკოვა თეთრებით თამაშობდა. მან არაზუსტად გაითამაშა დებიუტი და მე-16 სვლაზე დაკარგა ხარისხი და პაიკი. მსოფლიოს ჩემპიონმა ვერ გამოიყენა უპირატესობა. ე. ბიკოვამ მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე შექმნა კონტრთამაში და მეორმოცე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია. ანგარიშია 2:2.

* * *

27 აგვისტოს გათამაშდა ლ. რუდენკოსა და ე. ბიკოვას მეხუთე პარტია. შეჯიბრება ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით. პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ფეხბურთი

„ბ“ კლასი

პირველ ქვეჯგუფში უკანასკნელი ორი შეხვედრის შედეგი ასეთია: „ტორპედო“ (დონინ როსტოვი) — „დინამო“ (ერევანი) 1:3, „სპარტაკი“ (აშხაბადი) — „დინამო“ (ალმა-ატა) 2:0.

პირველი ქვეჯგუფიდან დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისის „სპარტაკმა“ (15 თამაშიდან 24 ქულა) და ერევნის „დინამომ“ (15 თამაშიდან 21 ქულა).

მეორე ქვეჯგუფში გასული კვირის შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მინსკი) — „კრასნაია ზვეზდა (პეტროზავოდსკი) 2:1, „კალევი“ (ტალინი) — „დუგავა“ (რიგა) 2:0, „ზნამია“ (ივანოვო) — „მეტალურგი“ (ოდესა) 0:0, „ბურევესტნიკი“ (ციმბინოვი) — „ხიმიკი“ (მოსკოვი) 1:1. მეორე ქვეჯგუფიდან ფინალში გავიდნენ ივანოვოს „ზნამია“ და მინსკის „დინამო“.

მესამე ქვეჯგუფში უკანასკნელ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტორპედო“ (გორკი) —ჟ. მოლოტოვი 3:1, „ავანგარდი“ (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 5:2. „ავანგარდი“ (ჩელიაბინსკი) — „ტორპედო“ (სტალინგრადი) 1:0. მესამე ქვეჯგუფიდან გადამწყვეტ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სტალინის „შახტიორი“ და გორკის „ტორპედო“.

6 უძლიერესი გუნდის დასკვნითი ასპარეზობა გაიმართება გორკში.

ნ. დვალიშვილი — სსრ კავშირის ჩემპიონი

მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა უძლიერესი ასპარეზობა მძლეოსნობაში საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე. სპორტერთა შეჯიბრებაში ქალთა შორის წარმატებას მიაღწია თბილისელმა მძლეოსანმა ნ. დვალიშვილმა, რომელმაც გადამწყვეტ გარბენში პირველმა გაარღვია 100 მეტრის ფინიშის ზოლი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ვაჟთა შორის ამავე მანძილზე რბენის ფინალში გამარჯვებული გამოვიდა მოსკოველი სპორტსმენი ვ. სუხარევი. 800 მეტრზე რბენაში ვ. ივაკინმა (მოსკოვი) დაამყარა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი. მის მიერ ნაჩვენები დრო უდრის 1 წუთსა და 49,6 წამს. საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა აგრეთვე ა. ჩუდინამ. იგი გამორბენით სიმაღლეზე გადახტა 1 მეტრსა და 69 სანტიმეტრზე. ქალთა შორის ბირთვის კვრაში პირველი ადგილი დაიკავა გ. ზიბინამ (ლენინგრადი).

მოხუცი მონადირე

სამსონ სარჯველაძე 78 წლისაა. იგი მხნედ არის და ენერგიულად მუშაობს ლანჩხუთის რაიონის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში; შარშან მან 260 შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო წელს ჯერჯერობით 100-ზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული.

ს. სარჯველაძე 18 წლისა იყო, როცა ნადირობა დაიწყო. ნადირობით სახელი გაითქვა. დღემდე მოკლული ჰყავს 61 მგელი, 59 მგლის ლეკვი, 260-ზე მეტი ტურა, 60 გარეული კატა და სხვ. მარტო შარშან მან მოკლა 3 მგელი, წელს — ერთი მგელი და სამი ტურა.

გაზეთი „სოციალისტური შრომა“.

ეროვნული ეკონომიკა

ეძღვნება ნ. ბაჭარაშვილის

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი მიხეილ ალექსანდრეს-ძე მაჭარაშვილი.

მ. ა. მაჭარაშვილი დაიბადა 1885 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში, ხოლო 1914 წელს დაამთავრა კიევის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. იმავე წელს გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში და მუშაობდა ჰოსპიტლის მთავარ ექიმად.

1917 წლიდან მ. ა. მაჭარაშვილი მუშაობს საქართველოში ჯერ თელავში, შემდეგ გორში. მისი ინიციატივით გორში ჩამოყალიბდა კანისა და ვენერიულ სნეულებათა დისპანსერი, რომლის მთავარ ექიმად მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. მ. ა. მაჭარაშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გორის ექიმთა საზოგადოებას.

ხანგრძლივი, თავდადებული და უმწიკვლო მუშაობისათვის მ. ა. მაჭარაშვილი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით. მიმდინარე წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება მიენიჭა.

მ. ა. მაჭარაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

მეშახტის დღისათვის მზადება

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა თვითმოქმედ კოლექტივებს გუგუნავა კომპოზიტორების გ. კოკელაძისა და ა. შავერზაშვილის სიმღერები მეშახტეებზე, გ. სვანიძის — „მაღაროელთა სიმღერა“, კ. ვაშაკიძის — „მეშახტეთა სიმღერა“, ნ. არეშიძის პიესა — „ნახვამდის“ და სხვ.

თვითმოქმედი კოლექტივებისათვის დახმარების გასაწევად აპარისა და სამხრეთ ოსეთის ხალხური შემოქმედების სახლებმა გამოჰყვეს კომპლექსური ბრიგადები.

ქვანახშირის სამრეწველო რაიონებში მეშახტის დღისათვის გაიგზავნება სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

საბონემენტო სისტემა ფილარმონიის კონცერტებში

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ ზამთრის სეზონისათვის ხელშეკრულებები დადო გამოჩენილ მუსიკოს შემსრულებლებთან. კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ პიანისტები: ს. რიხტერი, მ. გრინბერგი, ლ. ობორინი, ე. გილელსი, გ. და ს. ნეიგაუზები და მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის პარიზის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ახალგაზრდა პიანისტი ე. მალინინი; მევიოლინეები: დ. ოისტრახი, ი. ბეზროდნი, ი. ოისტრახი, მ. იაშვილი და ნ. შკოლნიკოვა, რომელმაც ლაურეატის წოდება მოიპოვა პარიზის საერთაშორისო კონკურსზე. საბჭოთა ვოკალური ხელოვნება წარმოდგენილი იქნება ზარა დოლუხანოვას, ა. ალექსანდროვიჩის, ვ. დავიდოვას, უკრაინელი მომღერლების მ. გმირიას და ე. ჩავდარის კონცერტებით. მხატვრული კითხვის სალამურს გამართავენ ირაკლი ანდრონიკაშვილი და ვსევოლოდ აქსენოვი.

ფილარმონიამ მიმდინარე სეზონში შემოიღო საბონემენტო სისტემა. სულ გამოშვებულ იქნება ათი აბონემენტი. ყოველ აბონემენტში შედის ათი კონცერტი — ხუთი კამერული და ხუთი სიმფონიური.

თვითეულ აბონემენტში ათი კონცერტიდან გათვალისწინებულია ოთხი გასტროლიორი-შემსრულებლის და ერთი დირიჟორის გამოსვლა.

რამდენიმე სჯრიქონით

◎ ამ დღეებში თბილისში დაბრუნდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პიონერები, რომლებიც იყვნენ